# ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 აგვისტო **სამშაბათი** 2010

№ 180 (13 168) ფასი 60 თეთრი





## ქეცბაიამ სამოლდოვე დაასახელა

» გვერდი 4

# პოლონეთი ამოვაყირავეთ

# +19





საქართველო-პოლონეთი 84:65. ზაზა ფაჩულიამ მარცინ გორტატი ასეთ დღეში ჩააგდო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**იგორ კოკოშკოვი**

## გავიმარჯვეთ გუნდური გარჯის წყალობით

## მარცინ გორტატი პოლონურ პრესაში:

მატჩს მოუმზადებლები შევხვდით. არ ვიყავი მზად ზაზა ფაჩულიასთან ბრძოლისთვის. ქართველმა ცენტრმა გამანადგურა. საკუთარი თამაშისა მრცხვენია.

## ყველაფერი გუშინდელ მატჩზე

» გვერდი 2-3, 16

# ზაზა, ბუ და... დაჭრილი არწივი

2 აგვისტო, თბილისი. სპორტი სასახლე

## საქართველო-პოლონეთი 84:65

19:24, 26:16, 18:9, 21:16

მსაჯები: ენგინ კენერმანი (თურქეთი), ანასტასიოს პილოიდისი (საბერძნეთი), სერგეი ჩებიშევი (უკრაინა)



| საქართველო | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4 გამყრელიძე | 7 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 6 ა. ბოისა | 2 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7 *ფაჩულია | 27 | 11 | 20 | 55.0 | 0 | 0 | 0.0 | 4 | 6 | 66.7 | 8 | 0 | 8 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 26 |
| 8 *ცინცაძე | 26 | 5 | 7 | 71.4 | 1 | 5 | 20.0 | 1 | 1 | 100.0 | 1 | 4 | 5 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 14 |
| 9 შერმადინი | 13 | 2 | 2 | 100.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 4 |
| 11 მარკოიშვილი | 24 | 2 | 2 | 100.0 | 2 | 4 | 50.0 | 2 | 2 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 12 |
| 13 *სანიკიძე | 37 | 4 | 5 | 80.0 | 1 | 3 | 33.3 | 3 | 3 | 100.0 | 5 | 7 | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 14 |
| 21 *ბრინი | 28 | 3 | 5 | 60.0 | 1 | 3 | 33.3 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 9 |
| 22 ცქიტიშვილი | 25 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 3 | 33.3 | 2 | 2 | 100.0 | 0 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 5 |
| 23 *შენგელია | 11 | 0 | 3 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 0 | 2 | 0 | | |
| ჯამი | | 27 | 44 | 61.4 | 6 | 18 | 33.3 | 12 | 14 | 85.7 | 19 | 25 | 44 | 12 | 18 | 10 | 3 | 2 | 84 |

*შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს*

| პოლონეთი | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4 *ჩილინსკი | 19 | 0 | 1 | 0.0 | 1 | 2 | 50.0 | 0 | 0 | 0.0 | 2 | 2 | 4 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 5 ბერიშა | 19 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 4 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 2 |
| 6 *ლამპე | 37 | 5 | 9 | 55.6 | 2 | 4 | 50.0 | 5 | 7 | 71.4 | 2 | 4 | 6 | 2 | 3 | 3 | 1 | 0 | 21 |
| 7 *შუბარგა | 20 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 3 | 0.0 | 2 | 4 | 50.0 | 0 | 0 | 0 | 6 | 4 | 0 | 0 | 1 | 2 |
| 8 დილევიჩი | 3 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 პრიჩიანიუკი | 12 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 11 მაიევსკი | 4 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12 *კელატი | 36 | 2 | 5 | 40.0 | 5 | 8 | 62.5 | 3 | 3 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 22 |
| 13 *გორტატი | 28 | 4 | 7 | 57.1 | 0 | 1 | 0.0 | 2 | 2 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 10 |
| 15 კოზარეკი | 21 | 1 | 4 | 25.0 | 1 | 5 | 20.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 5 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | 0 | 0 | 0 | | |
| ჯამი | | 13 | 28 | 46.4 | 9 | 27 | 33.3 | 12 | 16 | 75.0 | 10 | 11 | 21 | 13 | 18 | 8 | 4 | 4 | 65 |

*შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა*



უტევს მანუჩარ მარკოიშვილი

**შეხვედრის დაწყებამდე პრეს-ლოჟაში შევიტყვე, რომ ტოტალიზატორებში ფავორიტი პოლონეთის ნაკრები ყოფილა. სლავების მოგებაზე ლარს ვინც დადებდა, 1.4 ლარს მოიგებდა, ხოლო საქართველოს ნაკრების გამარჯვებით ლარში 2.7-ჯერ მეტ თანხას იხდიდნენ. როგორც ხედავთ, ტოტალიზატორების გამოთვლებით, პოლონეთს საქართველოში მოგების დიდი შანსი ჰქონდა...**

...მაგრამ სლავებთან ერთად (რომლებიც თამამად ამბობდნენ, თბილისიდან ორი ქულის წაღებას ვაპირებთო) გათვლებში ტოტალიზატორებიც შეცდნენ. მათ უამრავი დეტალი გამოეპარათ მხედველობიდან:

პირველი და უმთავრესი - შემადგენლობების თანაფარდობა. გუშინ **მარცინ გორტატის** გასული სეზონის სტატისტიკა **ზაზა ფაჩულიას** მონაგარს შევადარეთ, სხვა კალათბურთელებიც შევაპირისპირეთ და აღმოჩნდა, რომ იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველები ამავე ლიგის წარმომადგენელ პოლონელებს სჯობნიან, ესპანეთში მოასპარეზე ჩვენიანები პირენეებზე მოთამაშე პოლონელებს არ ჩამოუვარდებიან... ასე რომ, შემადგენლობების გათვალისწინებით ნამდვილად არ შეიძლებოდა ამ წყვილში ფავორიტად პოლონეთის შერაცხვა. ეს გუშინაც დავინახეთ: ზაზა ფაჩულიამ (27 წუთი, 26 ქულა, 8 მოხსნა) აშკარად აჯობა მარცინ გორტატს (28 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა). „არწივები" სიამაყით წერენ - გორტატს „პოლონურ ჩაქუჩს" უწოდებენო. გუშინ თუ გორტატი „ჩაქუჩი" იყო, ფაჩულია... (შედარება თქვენთვის მომინდია). ზაზამ ორლანდოელ ცენტრს პირველივე წუთებზე ორი ჯარიმა მიალებინა. საწყის მეოთხედში ფაჩულიამ 11 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, თუმცა ქართველებს დაცვაში თამაშის დალაგება გაუჭირდათ და პერიოდი 19:24 დათმეს.

■ ■ ■

მეორე მეოთხედში ზაზა შეცვალა **გიორგი შერმადინმა**, რომელმაც კაპიტნის არყოფნა გუნდს არ დაატყო და ერთ ეპიზოდში პოლონელთა ლიდერს იმდენად ეფექტურად დაატენა, რომ გორტატს ვარჯიშებზე თანაგუნდელი **დუაიტ ჰოვარდის** ზემოდან გდებები გაახსენდებოდა. მეორე პერიოდში საქართველოს ნაკრებმა დაცვაში თამაში დაალაგა და საფინალო სირენამდე ჩავარდნა აღარ ჰქონია. საყურადღებოა, რომ მეორე ათწუთეულში მატჩის სიმძიმემ უმთავრესად სათადარიგოებზე გადაიარა. დიდ შესვენებაზე სასიამოვნო დასკვნაც გავაკეთეთ - მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვის** განკარგულებაში ორი კარგი ხუთეულია.

...და რა მდგომარეობაა ამ მხრივ პოლონელთა ბანაკში? **კოზარეკი, დილევიჩი, ბერიშა, შუბარგა, მაიევსკი, ჩილინსკი...** ამ ექვსეულმა ერთობლივად 12 ქულა ჩააგდო. ექვსივემ ერთად აღებულმა იმდენი ვერ გააკეთა, რაც მხოლოდ **მარკოიშვილმა, სანიკიძემ** და **ცინცაძემ. ცქიტიშვილსა** და **შენგელიას** საპასუხისმგებლო მისია ეკისრათ - პოლონელთა მთავარი მექულის **მაცეი ლამპეს** შეჩერება. ის გუნდური თამაშიდან გამოთიშეს და რაც ჩააგდო, უმთავრესად ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო. იმავეს თქმა შეიძლება **ტომას კელატიზე**, რომელიც პოლონეთის ნაკრებს წლეულს დაემატა და, ეტყობა, გუნდთან შეთამაშება ჯერ ვერ მოასწრო. თუმცა, ვალენსიელმა მაღალი კლასი მაინც გამომჟღავნა - რვიდან 5 სამქულიანი ჩააგდო.

ასე და ამგვარად, პოლონეთის ნაკრებში გუშინ მხოლოდ ლამპემ და კელატიმ ივაჟკაცეს. თუ განმეორებითი მატჩისთვის მარცინ გორტატის გამოფხიზლებას უნდა ველოდეთ, ნამდვილად არ მაქვს იმედი, რომ შუბარგა-კოზარეკები კლასს აიმაღლებენ... თუმცა, 17 აგვისტომდე შეიძლება შეთამაშდნენ და შინ ქართველებს დიდი ბრძოლა გაუმართონ.

პოლონელ „არწივებზე" წერა ერთი გვარის ხსენებით უნდა დავასრულოთ: 2008 და 2009 წლებში სლავების თეთრ-წითელი მაისურა გამთამაშებელ **დევიდ ლოგანს** ემოსა. იგი შედეგიანადაც ისროდა და ბურთიც კარგად მიჰქონდა გორტატი-ლამპეს წყვილამდე. ლოგანმა ამ სეზონის წინ პოლონეთის „პროკომი" ესპანურ „კახა ლაბორალზე" გაცვალა და ნაკრებში თამაშზეც უარი თქვა. დევიდის წასვლის შემდეგ პოლონელ პლეიმეიქერებს თამაშის დალაგება ძალიან გაუჭირდათ.

■ ■ ■

ტოტალიზატორებმა ისიც ვერ გათვალეს, რომ იგორ კოკოშკოვმა აქამდე ნაკრების არაერთი კოზირი დამალა - გიორგი ცინცაძე კოჭის ტრავმის გამო საკონტროლო მატჩებში თითქმის არ დატვირთა. პოლონელებს ისიც ახსოვდათ, რომ „ბუ" (ცინცაძის მეტსახელი) გასულ სეზონში პოლონურ „სოპოტში" ასპარეზობდა და თავი ნამდვილად არ გამოუჩენია (კოჭის ტრავმამ შეაწუხა). ამიტომ, სტუმართა მწვრთნელი **იგორ გრიშჩუკი** მისგან ხიფათს ნაკლებად მოელოდა.

» მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ზაზა, ბუ და... დაჭრილი არწივი

« მე-2 გვერდიდან

არადა, „ბუ" მატჩის გადამწყვეტ მომენტში თანაგუნდელებსაც გაუძლვა, გულშემატკივრებიც აიყოლია და მასპინძლებს მესამე მეოთხედი 18:9 მოაგებინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლონელები მესამე პერიოდში გატყდნენ. დიდი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ ცინცაძემ ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ - საჯარიმო ტყორცნა, ამას მოჰყვა ეფექტური პასი ფაჩულიას მისამართით და ქართველები 55:42 დაწინაურდნენ. . გაცხარებულმა იგორ გრიშჩუკმა წუთშესვენება ითხოვა. მეოთხედის ბოლო წამზე კელატის სამქულიანი რომ არ ჩაეგდო, სტუმრები ათწუთეულში მხოლოდ 6 ქულას მოუყრიდნენ თავს. ამ მეოთხედში 18-დან 10 ქულა ცინცაძის ანგარიშზე იყო. არ გაგიკვირდეთ და გიორგის თამაშის შემხედვარეს 2003 წლის „დინამო"-"ბათუმის" ფინალი გამახსენდა. მაშინ 16 წლის ყმაწვილმა, ფაქტობრივად, მარტომ მოუგო ფავორიტ დინამოელებს. მეორე დღეს მიმოხილვას დავარქვი: „ბუ და დაჭრილი არწივი". სხვათა შორის, პოლონეთის კალათბურთის ფედერაციის ლოგოსა და ნაციონალურ გერბზეც არწივია გამოსახული. რამდენად მტკივნეული ჭრილობა მივაყენეთ სლავ „არწივებს", აგვისტოს ბოლოს დავინახავთ.

■ ■ ■

იცით, კიდევ რა გამორჩათ მხედველობიდან ტოტალიზატორებს? - გულშემატკივრობა. მართალია, დარბაზში აქა-იქ ცარიელ ადგილებს დიანახავდით, მაგრამ მატჩს 9100 გულშემატკივარი დაესწრო, რაც შესარჩევი ტურნირის საზომებით ძალიან დიდი რიცხვია. გუშინვე უკრაინა-მაკედონიის შეხვედრას 1850-მა ქომაგმა მიადევნა თვალი (საქართველოში, ასე ცოტა ქომაგი 1850 წელს თუ მოდიოდა)... ხუმრობა ფრჩხილებში იყოს და კალათბურთელებმაც აღიარეს, რომ მაყურებელი მატჩის მოგებაში ძალიან დაეხმარა.



ტორინ გრინი და მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი

*„დარბაზში საოცარი ატმოსფერო იყო. გულშემატკივარმა დიდი ბიძგი მოგვცა. კალათბურთელებმა ყველაფერი გავილეთ, რომ ქომაგი გაგვეხარებინა. ცხადია, ჩვენც გახარებულები ვართ,* - მოედნიდან გამოსვლამდე თქვა ვიქტორ სანიკიძემ. სხვათა შორის, ამხანაგურ ტურნირებზე ვიქტორიც ერთგვარად ჩრდილში იდგა. დამაგვირგვინებელ ფაზაში ძველებურად შედეგიანი ვერ იყო, თუმცა პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში „არწივებსაც" გადაახტა (ყველაზე მეტი - 12 მოხსნა) და შეტევაშიც მაღალი სიზუსტით გამოირჩა (5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 3-დან 3 საჯარიმო). შეიძლება, კოკოშკოვი ვიქტორსაც აგვისტოსთვის ინახავდა. მაშინ, როცა ლამპე-გორტატის წყვილზე პოლონელები დითირამბებს წერენ, ქართველებმა მათ მოხსნებში 44:21 აჯობეს.

■ ■ ■

როგორც ჩანს, ზოგიერთებმა პოლონეთის ფავორიტად შერაცხვისას მხოლოდ ისტორია გაითვალისწინეს. 2003-დან 2009 წლამდე ქართველები მეორე ლიგაში ვყურყუტებდით, ხოლო პოლონელები ევროპის ჩემპიონატებზე იძენდნენ გამოცდილებას. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებს პირველი ოფიციალური მატჩი, 1995 წლის 24 მაისს, სწორედ პოლონეთთან აქვს წაგებული - 68:91 (-23 ქულა).

მეოთხე პერიოდი ნიკა ცქიტიშვილმა სამქულიანით გახსნა, მას მანუჩარ მარკოიშვილმაც მიბაძა, შემდეგ გრინის დრიბლინგები ვიხილეთ და მივიღეთ სწორედ 23-ქულიანი უპირატესობა - 77:54. მართალია, ბოლოს 19 ქულით მოვიგეთ, მაგრამ ესეც კარგია, ჯგუფში ბევრი თანაბარი ძალის გუნდია და შეიძლება, მილებულ-ჩაგდებული ბურთები გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

● გუშინ ჩვენს ჯგუფში




## ბულგარეთმა ფავორიტობა დაამტკიცა

**პორტუგალია-ბულგარეთი 59:67**

15:22, 20:18, 19:13, 5:14

პორტუგალია: მინავა (8ქ, 5პ), ევანსი (19ქ, 9მ, 3პ), სილვა (3ქ, 5ფ), გომესი, ჟორდაო (3ქ), ფერნანდესი (3ქ), ანდრადე (3ქ), პინტუ, კორტესი (4ქ), მირანდა (6ქ, 5მ, 5ფ), სანტოსი (10ქ)

ბულგარეთი: დ. ივანოვი (7ქ), კოსტოვი (12ქ, 5მ), ვიდენოვი (17ქ, 4მ), კალუეი (5ქ, 5პ, 3ჩ), ს. გეორგიევი (5ქ, 5მ, 5ფ), ველიკოვი (5ქ), ზ. გეორგიევი (8ქ), ა. გეორგიევი (2ქ, 4მ), ლილოვი (2ქ), ვრბანოვი (4ქ)

მეოთხე პერიოდის წინ პორტუგალია 54:53-ს იგებდა, თუმცა ბოლო რაუნდში ბულგარელებმა მასპინძლებს შანსი არ დაუტოვეს.

აქვე იმას დავამატებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თითო ჯგუფიდან (სულ სამი ქვეჯგუფია) პირველადგილოსნები და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ორი მეორეადგილოსანი გადის. სამივე ჯგუფის მომდევნო 6 გუნდი გაისად ევრო-2011-ის ერთ დარჩენილ საგზურს გაითამაშებს.




● ნამატჩევს

# ფაჩულიამ ნაცვლიშვილის რეკორდი მოხსნა



ზაზა ფაჩულია (ბურთით) და მარცინ გორტატი

ზაზა ფაჩულიამ 26 ქულასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„ვითამაშე კალათბურთი და, როგორც ნახეთ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მხოლოდ ჩემი 26 ქულა არ არის მნიშვნელოვანი, გუნდურად ვითამაშეთ და გამარჯვებაში ყველამ ჩვენჩვენი წვლილი შევიტანეთ. რაც შეეხება მარცინ გორტატთან დაპირისპირებას, მასთან ახლოს ვარ და დიდ პატივს ვცემ. ის ამერიკაში მაღალი დონის ცენტრად ითვლება, თუმცა მოედანზე რომ გავდივარ, ნამდვილად არ ვკითხულობ მოწინააღმდეგის გვარს, თავში ერთი სიტყვა მიტრიალებს - მოგება".*

26 ქულის გარდა, არის კიდევ ერთი რიცხვი, რომელიც 26-ს შეიცავს - 1026. ზაზას პოლონეთთან მატჩამდე ნაკრებში 999 წუთი ჰქონდა ნათამაშები, 1000-წუთიან ნიშნულს სწორედ გუშინ გადააბიჯა. საინტერესოა, რომ წუთობრივი მაჩვენებლის მიხედვით ფაჩულია აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა - 2 წუთით გადაასწრო **ვახტანგ ნაცვლიშვილს** (1024).

გორტატმა კომენტარისას ზაზა ფაჩულიაზე არაფერი თქვა, თუმცა მთლიანობაში საქართველოს ნაკრები შეაქო:

*„ჩვენმა მოწინააღმდეგემ ბევრ მინუსზე მიგვითითა. ეს ის მატჩი იყო, რომელიც ფირზე რამდენჯერმე უნდა დავატრიალოთ და შეცდომები გამოვასწოროთ".*

**ნიკა ცქიტიშვილმა** აღიარა, რომ მატჩის წინ მოგებაზე კი ფიქრობდა, მაგრამ მხოლოდ 4-5-ქულიან სხვაობას ვარაუდობდა...

*„პოლონეთის ნაკრები ჯგუფის ფავორიტია და მისი 19 ქულის სხვაობით დამარცხებას ვერ წარმოვიდგენდი. თუმცა მატჩი ისე წარიმართა, ერთ ეპიზოდში დაწინაურების შანსი გაგვიჩნდა და გამოვიყენეთ კიდეც. დაცვაში კარგად გავისარჯეთ. ვეცდებით, ასე გავაგრძელოთ.*

ბოლოს მწვრთნელების კომენტარებიც გადავიკითხოთ.

**იგორ გრიშჩუკი** (პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

*„სიმართლე გითხრათ, რაც მზადება დავიწყეთ, ეს ჩვენი ყველაზე ცუდი თამაში იყო. ვერ ვაჩვენეთ ჩვენი ხასიათი და შესაძლებლობები. ახლა ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მომავალ მატჩზე ვიფიქროთ. საქართველოს ნაკრებმა კი შესანიშნავად ითამაშა და შანსი არ დაგვიტოვა".*

**იგორ კოკოშკოვი** ბრიფინგისთვის მოწყობილ აბრასთან რომ მივიდა, იქ ფაჩულია დახვდა. მწვრთნელი უკან გაბრუნდა და თავის რიგს უნდა დალოდებოდა, თუმცა გუნდის თავკაცს კაპიტანმა ადგილი დაუთმო და კოკოშკოვმაც მოგების მიზეზები ჩამოთვალა:

*„ამ შეხვედრას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პოლონელები ფავორიტებად იყვნენ შერაცხულნი და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მათ ზედა ლიგაში თამაშის გამოცდილებაც საკმარისად აქვთ და პოტენციალიც. პოლონელების დამარცხება ძნელი რომ იქნებოდა, წინასწარ ვიცოდით. რეალურად ასეც იყო, თუმცა ჩვენმა ნაკრებმა კარგად ითამაშა როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში და გუნდური გარჯის წყალობით პირველი გამარჯვება მოიპოვა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფარქვეშ დამაჯერებელ თამაშს - მეტოქეს მოხსნებში 44:21 ვაჯობეთ. ეს მხოლოდ დასაწყისია, ამ თვეში კიდევ 7 მატჩი გველის".*

მომდევნო შეხვედრა 5 აგვისტოს ბელგიაშია.

გვერდები მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

მოლდოვა-საქართველო

# ქეცბაიას 17 სამოლდოვე

## ვინ შეცვლის სალუქვაძეს?



საქართველოს ნაკრები 11 აგვისტოს მოლდოვასთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ ეს დასკვნითი ამხანაგური შეხვედრაა. ეროვნული გუნდის თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** გენერალური რეპეტიციისთვის ნაკრებში 18 ფეხბურთელი გამოიძახა. თუმცა სიას ყაზანის „რუბინის" მცველი **ლაშა სალუქვაძე** გამოაკლდა. ის გასულ შაბათს სანკტ-პეტერბურგში, „ზენიტთან" მატჩის დასაწყისშივე დაშავდა და ახლა სამკვირიანი პაუზის აღება მოუწევს. მოდი, გადავხედოთ ქეცბაიას რჩეულთ:

მეკარეები - **ნუკრი რევიშვილი** (ანჟი, რუსეთი), **გიორგი ლორია** (დინამო);

მცველები - **კახა კალაძე** (მილანი, იტალია), **მალხაზ ასათიანი** (ლოკომოტივი, რუსეთი), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **დავით კვირკველია** (ანჟი, რუსეთი), **უჩა ლობჟანიძე** (დნიპრო, უკრაინა);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი** (ჰერტა, გერმანია), **გოგიტა გოგუა** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **ლევან გვაზავა** (ტერეკი, რუსეთი), **გიორგი მერებაშვილი** (ვოივოდინა, სერბეთი), **თორნიკე აფციაური** (ზესტაფონი);

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **ლადო დვალიშვილი** (მაქაბი ჰაიფა, ისრაელი), **დავით სირაძე** (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ზესტაფონი).

შესაძლოა, ნაკრების თავკაცმა ტრავმირებული სალუქვაძის ნაცვლად შემადგენლობას ერთი ფეხბურთელი დაამატოს. ეს საკითხი ამ დღეებში გაირკვევა.

როგორც ხედავთ, სანაკრებო სიაში ერთადერთი დებიუტანტია - გროზნოს „ტერეკის" ნახევარმცველი **ლევან გვაზავა**. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლევანი მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობას იბრუნებს. ამ დღეებში გვაზავა თბილისში ჩამოვა და ქართულ პასპორტს აიღებს.

როგორც ხედავთ, სანაკრებო სიაში ამჯერადაც არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ხშირად არ ყოფილან ეროვნულ გუნდში. ისევე, როგორც ესტონეთთან მატჩისთვის, ქეცბაიამ ამჯერადაც უხმო დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" მცველ **უჩა ლობჟანიძეს**. კამერუნთან მატჩისთვისაც იყვნენ ნაკრებში გამოძახებული „ზესტაფონის" ფეხბურთელები - შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური** და თავდამსხმელი **ნიკა გელაშვილი**.

ჩვენი ნაკრები მოლდოვაში ორშაბათს, 9 აგვისტოს, 14 საათზე ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრება. 11 აგვისტოს მოლდოვა-საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 20 საათზე, კიშინიოვის „ზიმბრუს" სტადიონზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ამბები



### ტოპმიოლერი კამერუნს უახლოვდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი კამერუნის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებს განაგრძობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რამდენიმე დღეში ამ ქვეყნის მთავარ გუნდს ჩაიბარებს. დღეისათვის კამერუნელებიცა და **კლაუს ტოპმიოლერიც** აცხადებენ, რომ მოლაპარაკების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და სავარაუდო თანამშრომლობაზე თანახმა არიან. თუ მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს, გერმანელ სპეციალისტს „მოუთვინიერებელ ლომებში" დებიუტი 11 აგვისტოს, პოლონეთთან სტუმრად გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში ექნება.

შეგახსენებთ, კამერუნელები მთავარი მწვრთნელის გარეშე მას შემდეგ დარჩნენ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ გუნდიდან ფრანგი **პოლ ლე გენი** წავიდა. ტოპმიოლერი კი საქართველოს ნაკრებიდან დათხოვნის შემდეგ უმუშევარია...

### ასათიანის ტაიმი

**მალხაზ ასათიანმა** რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში „როსტოვის" წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩს სათადარიგოთა სკამიდან უყურა, სამაგიეროდ, ქართველი მცველი ათამაშეს მეორე დღეს „გორნიაკთან" გამართულ საკონტროლო შეხვედრაში, რომელშიც ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს.

### ცხადაძე სიმურგში

**ბაჩანა ცხადაძე** კარიერას ზაქათალის „სიმურგში" გააგრძელებს. შეგახსენებთ, ქართველი თავდამსხმელი აქამდე ბაქოს „ინტერის" შემადგენლობაში ირიცხებოდა, მაგრამ მთავარ გუნდში თამაში არ უწევდა. „სიმურგში" იგი იჯარით იასპარეზებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# მჭედლიძე სუფთა ფურცლიდან იწყებს

## ემპოლიში უკვე ორი ქართველია



ლევან მჭედლიძე

**ლევან მჭედლიძის** შვიდთვიან უქმობას წერტილი დაესვა. როგორც ადრე გაცნობეთ, 20 წლის თავდამსხმელი „ემპოლის" დაუბრუნდა, კლუბს, სადაც გაიცნო საფეხბურთო საზოგადოებამ და საიდანაც თავის დროზე „პალერმოში" გაანათხოვრეს. ასე რომ, **ლევან მჭედლიძე** ახალ სეზონს სერია B-ში, სწორედ „ემპოლიში" დაიწყებს.

ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია და „ემპოლის" ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. ლევანი ჩავიდა იტალიაში და „ემპოლიში" მისი გამოჩენისთანავე იტალიურ საიტებზე გაჩნდა მასალები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მჭედლიძე იქ ინტერესს იწვევს. კლუბის ოფისში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც „ემპოლის" ხელმძღვანელებმა ლევანი მასმედიასა და გულშემატკივრებს წარუდგინეს.

*„მუქი სათვალე, ჯინსები და თეთრი მაისური... კვირას, ნაშუადღევს, ჩვეული ჩაცმულობითა და ზედმეტი წონის გარეშე, ლევან მჭედლიძე გამოჩნდა „ემპოლის" ბაზაზე. მას თან ახლდნენ ძმა - გიორგი, და „ემპოლის" დუბლებში მოასპარეზე ქართველი, 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი ირაკლი შეყილაძე. კლუბის ხელმძღვანელები ქართველს უკვე ელოდნენ. მას თბილად დახვდნენ, მოიკითხეს და კარგა ხანს ესაუბრნენ"*, - წერს ვებგვერდი gonews.it. მოგვიანებით ამავე საიტზე „ემპოლის" მესვეურებისა და მჭედლიძის ერთობლივი პრესკონფერენციის მასალაც გამოჩნდა.

„ემპოლის" გენერალური დირექტორი პინო ვიტალე: *„ახალი სეზონის წინ ლევან მჭედლიძე დაგვიბრუნდა. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ნამატია. ჩემი აზრით, სერია B-ში ამ დონის მოთამაშე არ არის. ჩვენ გვჯერა, რომ ის ამას დაამტკიცებს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ლევანი „პალერმოში" იყო, მაგრამ რაღაც შეცდომის გამო თავიდან უწევს კარიერის აშენება. ის 20 წლის არის და ამ ასაკში ვის არ დაგვიშვია შეცდომა? მთავარია ის, რომ ლევანი ახლა მოტივირებული, მონდომებულია და მხოლოდ წინსვლაზე ფიქრობს. ჩვენ კარგად ვიცით მისი შესაძლებლობები და გვესმის, რომ ის „ეპოლიში" დიდხანს არ დარჩება, რადგან უკეთეს დონეზე შეუძლია თამაში. მისთვის „ემპოლი" ჩინებული ტრამლინი იქნება. იმედი გვაქვს ჩვეულად ათამაშდება და ჩვენს გუნდს დიდ სარგებელს მოუტანს".*

მჭედლიძის აგენტმა **დავიდე ტორკიამ** აღნიშნა, რომ ლევანმა უარი თქვა გერმანულ წინადადებაზე და „ემპოლიში" დაბრუნდა, რათა ფორმა აღიდგინოს და იმ გუნდს მოუტანოს სარგებელი, სადაც პირველად გამოჩნდა იტალიაში.

დაბოლოს თავად ლევან მჭედლიძის აზრიც: *„ემპოლიში" დაბრუნება ოჯახის წევრებთან ერთად გადავწყვიტე და დღეს თქვენ წინაშე ვარ. „ემპოლი" ჩემთვის პირველი იტალიური გუნდია. კარგად მახსოვს აქ გატარებული პერიოდი. აქ ჩემთვის ისეთივე სასიამოვნო გარემოა, როგორც ოჯახში. უთამაშებლობის პერიოდი, ეს რამდენიმე თვე, ჩემთვის მეტად მძიმე იყო, მაგრამ გადავიტანე და ეს უკვე წარსულია, რომლის გახსენებაც აღარ მინდა. მხოლოდ წინ ვიხედები და წინსვლაზე ვარ ორიენტირებული. და ეს წინსვლა ისევ „ემპოლიდან" უნდა დავიწყო. მოკლედ, ყველაფერს თავიდან, ანუ სუფთა ფურცლიდან ვიწყებ... ვიწყებ თქვენთან ერთად და ადრინდელივით არაერთხელ მინდა გავახარო „ემპოლის" გულშემატკივრები"*, - აღნიშნა ქართველმა თავდამსხმელმა, რომელიც „ვიკიპედიამ" უკვე შეიყვანა „ემპოლის" საახალსეზონო განაცხადში.

გასულ სეზონში 22-გუნდიან სერია B-ში „ემპოლი" მე-10 ადგილზე გავიდა. ახალ სეზონში ტოსკანელებს გაცილებით ამბიციური გეგმები ექნებათ. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბის დუბლშემადგენლობაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ირაკლი შეყილაძე** თამაშობს.

**დავით ცაბაძე**

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# დინამო ასეულს მიუახლოვდა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) აგვისტოსთვის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგში კვლავ 350 კლუბია თავმოყრილი მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

ბუნებრივია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ქართული კლუბების მდგომარეობაა. რაკი საქართველოს ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, ჩვენი კლუბების შედეგები მხოლოდ ევროთასებზე ასპარეზობითაა დათვლილი.

სასიამოვნოა, რომ თბილისის „დინამომ" უდიდესი ნახტომი გააკეთა და 179-ედან 121-ე ადგილამდე აინაცვლა. რა თქმა უნდა, თბილისურმა კლუბმა ამას ევროტურნირებზე ორი ეტაპის გავლით მიაღწია. იმედი ვიქონიოთ, რომ „დინამო" „შტურმის" ბარიერსაც გადალახავს. ამით იგი შესაძლოა, საუკეთესო ასეულში შევიდეს.

ევროპის ლიგაზე ასევე ორი რაუნდი დაძლია „ზესტაფონმა", მაგრამ იმერლებმა მაინც უკან დაიხიეს - 205-ედან 215-ეზე გადაინაცვლეს. რასაკვირველია, „დინამოსთან" ერთად, „ზესტაფონსაც" ვუსურვებთ „კარპატის" ორმატჩიან დუელში ძლევას.

გასაკვირი არაა, რომ უკუსვლა განიცადა ევროთასებზე ხელმოცარულმა „ვიტ ჯორჯიამაც", თუმცა „ბანიკთან" „მიღწეული" შედეგის კვალობაზე უმნიშვნელო - ვეტერინარები 271-ედან 283-ე პოზიციაზე დაეშვნენ.

ჩვენთვის ყველაზე უსიამოვნო კი ის არის, 350-ადგილიან რეიტინგში ქართული კლუბების რაოდენობა შემცირდა. თუ დიდი ხნის განმავლობაში იქ სისტემატურად იყო წარმოდგენილი ჩვენი ოთხი გუნდი, ახლა მათ ჩემპიონთა ლიგიდან უსახელოდ გამოვარდნილი რუსთავის „ოლიმპი" გამოაკლდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამტრედია

# ორი გამარჯვება ქვედალიგელებთან

ბოლო დღეებში „სამტრედიამ" ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ორივეში გაიმარჯვა. შაბათს **გელა სანაიას** გუნდმა „ხონს" **კვერენჩხილაძის** გოლით 1:0 მოუგო, ორშაბათს კი **ბაკარანძის** დუბლითა და **ბაკურაძის** გოლით ლანჩხუთის „გურია" 3:1 დაამარცხა.

„გურიასთან" „სამტრედიამ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ძაგანია (ჯინჭარაძე) - სოსელია (კუპრეიშვილი), ხუმარაშვილი (დვალიშვილი), თ. შალიკაშვილი (გოგია), კირთაძე - ბაკურაძე, ფურთუხია (მახარაძე), ეცადეიშვილი (ბაკარანძე), პავლიაშვილი (ი. შალიკაშვილი), ჩომახიძე - კვერენჩხილაძე.**

შეგახსენებთ, „სამტრედია" მომავალი სეზონისთვის ჯიხაიში ემზადება და ამხანაგურ შეხვედრებსაც იქ მართავს. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე იმერლები კიდევ ერთ ტესტმატჩს ჩაატარებენ. 7 აგვისტოს „სამტრედია" პირველი ლიგის ბინადარ ხობის „კოლხეთს" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მომავალი თაობა

ბევრჯერ გვსმენია, ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი ტალანტია და რომ მათი მოძიება და დაკვალიანება საჭირო. ეს მართლაც ასეა და ამჯერად ერთ-ერთი მათგანი უნდა წარმოგიდგინოთ - ცხინვალის „სპარტაკის“ 18 წლის შემტევი ნახევარმცველი ბესიკ დეკანოიძე, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარში პირველად იასპარეზა უმაღლეს ლიგაში. 16 მატჩი და 2 გოლი - ასეთია დეკანოიძის მონაგარი. ერთი გოლი თბილისის „დინამოს“ 18 აპრილის მატჩში გაუტანა. ის თამაში ცხინვალელებმა 2:1 მოიგეს, ანგარიში კი სწორედ ბესომ გახსნა. გარდა ამისა, დეკანოიძე გელა შეყილაძის ფორმაციის 17 წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდა და გუნდის ელიტრაუნდში გასვლაში თავისი წვლილი შეიტანა. ამჯერად კი 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატად მიიჩნევა. ვნახოთ, თუ როგორ მოხვდა უმაღლესში, ვინ ჩაინიშნა მისი გვარი, რას ფიქრობს მომავალზე...



ბესიკ დეკანოიძე

# ახალ სეზონში უკეთ ვითამაშებ

## ჩიხურადან სპარტაკში და რუსი აგენტის ბლოკნოტში

**- უმაღლეს ლიგაში სეზონის ნახევარი შენთვის სადებიუტო იყო. კმაყოფილი ხარ?**

- დებიუტის კვალობაზე ცუდად არ მითამაშია. სადებიუტო თვეებში ძნელია ბოლომდე გამოავლინო შესაძლებლობები. მწვრთნელები ჩემით კმაყოფილები არიან, მაგრამ კარგად ვიცი, რომ უკეთაც შემიძლია თამაში და ახალ სეზონში ეს უნდა შევძლო.

**- 16 მატჩში ორი გოლი. ორ პოზიციაზე მოგიწია თამაშმა - თავდასხმასა და ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე. რომელ ადგილზე უფრო უკეთ გრძნობდი თავს?**

- ვლადიმერ ხაჩიძის მწვრთნელობისას მარჯვენა ნახევარმცველი ვიყავი. გოჩა ჩიქოვანმა კი თავდასხმაში გამამწესა და ვფიქრობ, წინა ხაზზე უფრო შედეგიანი ვიყავი. ორივე გოლი სწორედ თავდასხმაში თამაშისას გავიტანე. გასული სეზონის მეორე ნახევარში, ჩვენს გუნდში ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც გიორგი დემეტრაძე და ლადო ბურდული არიან. ფეხბურთში მათ გვერდით ბევრი რამ ვისწავლე.

**- ტექნიკური ხარ, სწრაფად აზროვნებ, პასი და კარში დარტყმა ცუდად არ გამოგდის... ცაციათი თამაში თუ შეგიძლია და კიდევ რა გაქვს დასახვეწი?**

- მარცხენა ფეხითაც ჩვეულებრივ ვთამაშობ, ჯერ ახალგაზრდა ვარ და არაერთ კომპონენტში მაქვს სამუშაო. უმთავრესი ამოცანაა ფიზიკურ გამძლეობა. ჯანი მაკლია, ფიზიკური კონდიციების ამაღლებით უფრო მძლავრად დავდგები ფეხზე და უკეთ ავთამაშდები.

**- მოსამზადებელ პერიოდში საკონტროლო მატჩებიდან მხოლოდ ერთში ითამაშე. რატომ?**

- დიახ, „დინამოს“ წინააღმდეგ ვითამაშე პირველ ტაიმში. ტრავმა მაწუხებდა. ერთი ხანობა ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ახლა უკვე მწყობრში ვარ და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვემზადები.

**- ცხინვალის „სპარტაკში“ საჩხერის „ჩიხურადან“ მოხვდი. „დინამოს“ წინააღმდეგ სათასო შეხვედრებში თბილისშიც კარგად ითამაშე და საჩხერეში საგოლე პასი მიითვალე...**

- საჩხერეში „დინამოს“ 1:1 ვეთამაშეთ. დათო ენუქიძემ ჩემი პასით გაიტანა. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში და საკმაოდ მონდომებული ვიყავი. მინდოდა ეს მატჩი კარგად მეთამაშა და გულშემატკივრისთვის თავი დამემახსოვრებინა.

**- დაამახსოვრეთ კიდეც. „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ შელიამ სწორედ „ჩიხურაში“ თამაშისას შეგამჩნიათ...**

- დიახ, თბილისში, ერთ-ერთ მატჩში ნახა მურთაზ შელიამ ჩემი თამაში. მან კლუბის პრეზიდენტ დიმიტრი სანაკოევს უთხრა და მათ თავიანთ კლუბში მიმიწვიეს. მათი მეშვეობით შანსი მომეცა, უმაღლეს ლიგაში წარმოვაჩინო ჩემი შესაძლებლობები.

**- პირველიდან უმაღლეს ლიგაში არაერთი ტალანტი გადასულა, მაგრამ ზოგს მოტივაცია დაეკარგა და ზრდა შეწყვიტა...**

- მივხვდი რასაც გულისხმობთ. ვთვლი, რომ ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. მთავარი ბრძოლები წინ მელის. ჯერ აქ, საქართველოს ჩემპიონატში, მერე უცხოეთში მინდა ძალები მოვსინჯო.

**- „გაგრასთან“ მატჩში შენი გვარი სატრანსფერო სააგენტოს რუსმა აგენტმა ბლოკნოტში ჩაინიშნა...**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით... შესაძლოა, ასეც იყო... წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ, ჯერ „სპარტაკს“ უნდა მოვუტანო წარმატებები.

**- ახლაც კარგი გუნდი გყავთ. ახალი სეზონში რა მიზნისთვის იბრძოლებს „სპარტაკი“?**

- გამოცდილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და ნახევარმცველი შოთა კაშია დაგვემატა. თავდამსხმელი ლაშა ჯაკობიაც ჩვენთან გამოჩნდა. ახალ სეზონში მოწინავე ხუთეულში უნდა მოვხვდეთ.

**- დაბოლოს, 17-წლამდელთა ნაკრებში იყავი, 19-წლამდელებში კანდიდატი ყოფილხარ...**

- გელა შეყილაძის ნაკრებში ამხანაგურ მატჩებშიც ვითამაშე, შესარჩევშიც და ელიტრაუნდშიც - სულ ათამდე მატჩში. ერთი გოლი გავიტანე ხორვატიასთან. 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატად მიმიჩნევენ და ვნახოთ, იმედია, გამომიძახებენ და თავს არ შევირცხვენ.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

მეტოქე

# სტაბილური, მაგრამ არა დაუმარცხებელი!

ავსტრიის ჩემპიონატში კვლავაც წარმატებულად ასპარეზობს გრაცის „შტურმი“ - ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქემ მესამე ტურში სტუმრად ფრედ ითამაშა „ტიროლთან“ (2:2). ამ შეხვედრით მესამე ტური სრულდებოდა და „შტურმს“ ჩინებული შანსი ჰქონდა, ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო; ამისათვის კი, **ფრანკო ფოდას** გუნდს გამარჯვება ესაჭიროებოდა და სამი ქულის მოპოვებასთანაც ძალიან ახლოს იყო, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდა; მატჩი სტუმართა იერიშებით დაიწყო და პირველ ოც წუთში „შტურმის“ ორივე ფორვარდს, **რომან კინასტსა** და **იმრე ჟაბიჩს** ჩინებული მომენტები შეექმნათ; თუმცა, მატჩის პირველი გოლი... მასპინძლებმა გაიტანეს: მარჯვენა ფლანგზე **ფაბიან კოხის** აქტიურობას **მარსელ შრეტერის** ზუსტი დარტყმა მოჰყვა - 1:0. სხვათა შორის, „შტურმის“ დაცვის მარცხენა ფლანგი გუნდის ყველაზე სუსტი პოზიცია რომ არის, „ტიროლთან“ მატჩშიც დამტკიცდა: მასპინძელთა მარჯვენა გარემარბმა ფაბიან კოხმა არაერთი პრობლემა შეუქმნა **დომენიკ პიურხერს.**

აქედან გამომდინარე, არც იყო გასაკვირვი, ფრანკო ფოდამ თავის გუნდის მარცხენა მცველი მეორე ტაიმში რომ გამოცვალა. თუმცა ამ ცვლილებამდე მოედანზე მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. გაშვებული გოლის შემდეგ „შტურმმა“ რამდენჯერმე შეუტია მეტოქეს და სტუმართა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელს **ჰარის ბუკვას** სულ ცოტა დააკლდა ანგარიშის გასათანაბრებლად. თუმცა, „შტურმის“ 22 წლის ნახევარმცველმა სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიბრწყინა და თავისი გუნდი დააწინაურა; ალსანიშნავია, რომ ბუკვამ ორივე გოლი **ანდრეას ჰიოლცლის** ზუსტი პასების შემდეგ გაიტანა: ჯერ თავით დაარტყა ზუსტად, მერე - ფეხით გადაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე უკვე „ტიროლს“ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მარსელ შრეტერის ძლიერი დარტყმა ეფექტური ნახტომით „შტურმის“ მეკარე **კრისტიან გრატცეიმ** მოიგერია.

მეორე ტაიმში „შტურმი“ უნარიანად აკონტროლებდა თამაშის რიტმს და დრო და დრო, მწვავე კონტრშეტევებსაც ავითარებდა; როგორც ყოველთვის, „შტურმის“ ყველა „სტანდარტული“ სახიფათო იყო, თუმცა მასპინძლებმა მეტოქის ტაქტიკას ალლო ადვილად აუღეს და ერთი-ორჯერ მწვავე იერიშიც მიიტანეს „შტურმის“ კართან. პირველ ეპიზოდში **მანუელ ვებერი** დაეხმარა თავის მეკარეს, მეორედ კი კრისტიან გრატცეიმ ითამაშა დამაჯერებლად და მარსელ შრეტერს აჯობა. „შტურმის“ მთავარმა მწვრთნელმა ფრანკო ფოდამ მოედანზე არსებული სიტუაციის გამოსწორება შეცვლებით სცადა: სუსტად მოასპარეზე დომენიკ პიურხერის ნაცვლად მოედანზე **მარტინ ერენრაიხი** შემოიყვანა, ხოლო თავდამსხმელ რომან კინასტის ნაცვლად - ვეტერანი ბოსნიელი ნახევარმცველი **სამირ მურატოვიჩი**.

თუმცა მასპინძელთა მონდომებამ შედეგი მაინც გამოიღო: „ტიროლმა“ პენალტის უფლება მიიღო და მასპინძელთა საუკეთესო ფეხბურთელმა შრეტერმა ამ შეხვედრაში თავის მეორე გოლი გაიტანა. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთი რჩებოდა, მაგრამ ფრეზე არც ერთი გუნდი არ თამაშობდა; იმის მიუხედავად, რომ „ტიროლი“ გარკვეული პაუზის შემდეგ მხოლოდ ამ სეზონში დაბრუნდა ავსტრიულ ბუნდესლიგაში, ამ გუნდის აუტსაიდერად მოხსენიება ნამდვილად არ შეიძლება. ამის დასტურად წინა ტურის მატჩიც გამოდგება, როცა ინსბრუკელებმა საკუთარ მოედანზე მართლაც „შავი დღე“ აყარეს ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს „რაპიდს“ (4:0). თუმცა, „შტურმთან“ შეხვედრაში „ტიროლი“ ერთი ქულის მოპოვებითაც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო: მატჩის უკანასკნელ წუთებზე სტუმრებმა ორი ჩინებული შანსი ვერ გამოიყენეს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ეპიზოდი, როცა „შტურმის“ კაპიტნის **მარიო კინცლის** შესანიშნავი პასის მერე გუნდის უნგრელმა ლეგიონერმა იმრე ჟაბიჩმა, ფაქტობრივად, ასპროცენტიანი მომენტი გააცუდა.

საბოლოოდ მატჩი ფრედ (2:2) დასრულდა და ამ შედეგის გამო მასპინძელთა თავკაცი **ვალტერ კოგლერი** კმაყოფილებას ვერ მალავდა. აი, ფრანკო ფოდას კი გაორებული შთაბეჭდილება დარჩა: „მიმაჩნია, რომ ფრე ლოგიკური შედეგი იყო; მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ორ გარემოებას: შუა კვირაში თბილისის „დინამოსთან“ ურთულესი მატჩი გვქონდა, ხოლო დღევანდელი მეტოქის სიძლიერეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წინა შეხვედრაში „რაპიდს“ 4:0 მოუგეს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, დიდი შანსი იყო, ეს მატჩი მოგვეგო და ჩემპიონატში ასპროცენტიანი შედეგი გვქონოდა; სამწუხაროდ, დაცვაში უპატიებელი შეცდომები დავუშვით, განსაკუთრებით, იმ ეპიზოდში, ჩვენს კარში პენალტი რომ დაინიშნა. აღარაფერს ვამბობ შეხვედრის ბოლო წუთებზე, ორი ჩინებული მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ“.



ამ ეტაპისათვის ავსტრიულ ბუნდესლიგაში სამ გუნდს, „მაგნას“, „შტურმსა“ და „აუსტრიას“ შვიდ-შვიდი ქულა აქვთ. რა თქმა უნდა, ჯერ სეზონის სტარტია და აქედან გამომდინარე, არც უნდა გაგვიკვირდეს „მაგნასა“ (ადრე ამ გუნდს „ვინერ ნოიშტადტი“ ერქვა) და „შტურმის“ ლიდერებში ყოფნა. საერთოდაც, „შტურმის“ სიძლიერე თუ ამბიცია უახლოეს ორ კვირაში გამოჩნდება: ფრანკო ფოდას გუნდს ჯერ თბილისში სტუმრობა უწევს, შემდეგ კი ჩემპიონატში ზედიზედ ორი ურთულესი მატჩი ელოდება „რაპიდთან“ და „ზალცბურგთან“.

დაბოლოს, ტიროლთან“ მატჩში „შტურმის“ შემადგენლობასაც გავეცნოთ: **გრატცეი - შტანდფესტი, ფელდჰოფერი, შილდენფელდი, პიურხერი** (76. **ეირენრაიხი**) **- ჰიოლცლი, ვებერი, კინცლი, ბუკვა - კინასტი** (71. **მურატოვიჩი**), **ჟაბიჩი.** აღსანიშნავია, რომ ახალ სეზონში „შტურმმა“ ოთხი მატჩი ჩაატარა (სამი - ავსტრიულ ბუნდესლიგაში, ერთიც - ევროპის ლიგაზე „დინამოსთან“) და ფრანკო ფოდას ოთხივე შემთხვევაში ძირითად შემადგენლობაში ერთი და იგივე 11 ფეხბურთელი გამოჰყავს. ეგ კი არა, ამ ოთხ მატჩში შეცვლებზეც ასევე ერთი და იგივე მოთამაშეები შედიან-ხოლმე: სამირ მურატოვიჩი, მარტინ ეირენრაიხი, **სანდრო ფოდა** და **მარიო ჰაასი**. მოკლედ, აშკარად სტაბილური გუნდია, მაგრამ არა - დაუმარცხებელი!

**გია ტუხაშვილი**

უეფას ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი
UEFA EUROPA LEAGUE
5 აგვისტო, ხუთშაბათი
დინამო (თბილისი)
შტურმი (ავსტრია)
SK STURM
დასაწყისი 20:30
ბილეთის ფასი 2 ლარი
ლოჟაში 5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (კოლხეთი), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (ბელარუსი), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (?), ხუბუა (პოლონეთი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ს. იაშ ლი (ყაზახეთი), რ. ჯიქია (კოლხეთი), ხიდეშელი (ბაია), დ. გიგაური (?), დოლიძე (ბაია) | გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), დოლიძე (დინამო), გ. ნუგ. ჭელიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (სიონი), მოდებაძე (მეტალურგი ზ, უკრაინა), ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზამირ ჯანაშია (?), ჯ. უგულავა (სიონი) | 4 ივნისიდან - რუსთავში დინამო 0:3, ვიტ ჯორჯია 0:2 25 ივნისიდან - ურეკში სამტრედია 4:1, კოლხ. (ფ) 0:0 გაგრა 5:0, ტორპედო 0:0 **ჩემპიონთა ლიგა** აქტობე 0:2, 1:1 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | გ. კაშია (?), შ. კაშია (ისრაელი), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი), ნემსაძე (?), ქანთარია (?), დოლიძე (ოლიმპი) | ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი) მეტრეველი (გაგრა), მანჩხავა (უკლუბოდ), გავაშელიშვილი (35-ე სკოლა), ვარდოსანიძე (?) | 7 ივნისიდან - თბილისში ოლიმპი 3:0 სპარტაკი 2:0 35-ე სკოლა 5:0 **ევროპის ლიგა** ფლორა 2:1, 0:0 გეფლე 2:1, 2:1 შტურმი 0:2 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?) | ბაბუნაშვილი (სექთცია, ისრაელი), ფიფია (ბაია), კ. ალადაშვილი (ანჟი, რუსეთი) | 1-9 ივნისი - თბილისი 10 ივნისიდან - ავსტრიაში პლზენი (ჩეხეთი) 1:2 ზენიტი (რუსეთი) 0:0 ზალცბურგი (ავსტრია) 3:2 დინამო (მოსკოვი) 3:1 **ევროპის ლიგა** ფაეტანო 5:0, 0:0 დუკლა 3:0. 0:1 კარპატი 0:1 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | გომელაური (მთ. მწვრთნელი) ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო), ბერიაშვილი (ოლიმპი) | ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008) | 10 ივნისიდან - თბილისში ოლიმპი 2:0, სპარტაკი 1:0 23 ივნისიდან - უკრაინაში ტავრია 1:2, ნაფტოვიკი 0:3, ჰელიოსი 1:0, კრიმტეპლ. 1:3 **ევროპის ლიგა** ბანიკი 0:6, 0:0 ჩიხურა 4:0, თურანი (აზერბაიჯანი) 2:0 |
| სპარტაკი<br>გოჩა ჩიქოვანი | უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (სიონი), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?), კანდელაკი (ბაია) | ჩალაძე (სამტრედია), თავბერიძე (IBSU), სარალიძე, გ. მოდებაძე (ორივე - ლოკომოტივი), გრიშიკაშვილი (მიკა, სომხეთი), აქუბარდია (ბაია), შ. ფირცხალავა (სამტრედია), ვ. ბოლქვაძე (უგუნდოდ). გალდავა (ფინეთი), კორსანტია (უგუნდოდ), მ. ჯიშკარიანი (გაგრა), შ. კაშია (დინამო), ჯაკობია (?) | 7 ივნისიდან - თბილისში ვიტ ჯორჯია 0:1, დინამო 0:2 თურანი (აზერბაიჯანი) 2:1 |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ქემოკლიძე (ოლიმპი), ლ. მელქაძე (?), გ. მაისურაძე (?), ი. შენგელია (?), ლ. მერებაშვილი (?), გ. დეკანოსიძე (?), ჯ. უგულავა (ოლიმპი), გოგობერიშვილი (ბაია), ზუხბაია (ბაია) | გიორგი ყიფიანი (მწვრთნელი), გიორგი ყიფშიძე (მწვრთნელი) ჩივაძე (სპარტაკი), ორბელაძე (სტანდარტი, აზერბაიჯანი), რ. გოცირიძე (ისრაელი), ბობოხიძე (უგუნდოდ) | 20 ივნისიდან - თბილისში |
| სამტრედია<br>გელა სანაია | ჩალაძე (სპარტაკი), ზ. ხაჭიპერაძე (ტორპედო), სამსეიშვილი (ბათუმი), ბარამიძე (?), შ. ფირცხალავა (სპარტაკი) | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი), ბაკარანძე (ბაია), ჩხიკვაძე (მარტვილი), სოსელია, ხუმარაშვილი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე გაგრა, იჯარით), კვერენჩხილაძე (გურია), პავლიაშვილი, ხარაბაძე (ორივე გაგრა), ფურთუხია (?), ძაგანია (მერცხალი), გ. მახარაძე (ლოკომოტივი), ჭკადუა (?) | 10 ივნისიდან ტორპედო 0:1, ოლიმპი 1:4 გაგრა 0:1, ბაია 0:0, ბათუმი 2:1, მარტვილი 1:2 |
| ბაია<br>ელგუჯა კომეთიანი | ს. თოდუა (ტორპედო), ფიფია (ზესტაფონი), ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), აქუბარდია (სპარტაკი), სამადაშვილი (?), გ. ქირია (?), სახოკია (?), ყველაშვილი (?), ზ. ექონია (კოლხეთი), ნ. შონია (?), რაფავა (?) | ოთარ გაბელია (კონსულტანტი), რიგვავა (კვიპროსი), ახალკაცი (სიმურგი, აზერბაიჯანი), კ. ჩხეტიანი (სიმურგი, აზერბაიჯანი), გოგობერიშვილი (სიონი), ჭიჭვეიშვილი (სტანდარდი, აზერბაიჯანი), მეგრელაძე (შურთანი, უზბეკეთი), ი. კანდელაკი (სპარტაკი), მალიჩავა (?), დოლიძე (ოლიმპი), ზუხბაია (სიონი), ა. მუჯირი (აზერბაიჯანი), გ. ხიდეშელი (ოლიმპი) | 15 ივნისიდან 1-8 ივლისი ბაკურიანი კოლხეთი (ხ) 6:0, სამტრედია 0:0, კოლხეთი (ხ) 2:0 განჯა (აზერბაიჯანი) 0:1 |
| ტორპედო<br>რამაზ მუმლაძე | ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია), ბ. ხაჭიპერაძე (?), ხარებავა (?), ცაგარეიშვილი (?), ჩიხლაძე (?), ლ. ვაშაკიძე (?) | რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია), ქვილითაია (ლოკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი), ს. თოდუა (ბაია), საბანაძე (ავაზა/ვისოლი), ბ. გიგაური (?), ტაბატაძე (იმედი, ქუთაისი), როსტიაშვილი (ვიტ ჯორჯია 2) | 11 ივნისიდან - ქუთაისში სამტრედია 1:0, მარტვილი 3:0, ოლიმპი 0:0, კოლხეთი 2:1, გაგრა 3:0, ჩიხურა 2:0, კოლხეთი (ფ) 3:0 |
| კოლხეთი (ფ)<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | სტურუა (გაგრა), გველესიანი (ოლიმპი), ზ. ექონია (ბაია), სილაგავა (?), მახვილაძე (?), ინწკირველი (აზერბაიჯანი) | 10 ივნისიდან ოლიმპი 0:0, ტორპედო 1:2 გაგრა 0:4, გურია 0:0, მარტვილი 3:3, განჯა (აზერბაიჯანი) 1:0, ტორპედო 0:3 კოლხეთი (ხ) 2:2 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ლეგიონი



ლადო დვალიშვილი

# დვალიშვილი უგოლოდ არ გადის

უნგრეთში სტარტი აიღო შოპრონილიგის მორიგმა, 112-ე გათამაშებამ და პირველი მატჩი ქვეყნის ერთადერთმა „ქართულმა გუნდმა“ - „დიორი ეტომაც“ გამართა. „ეტო“ დედაქალაქის „უიპეშტს“ ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. მართალია, „ეტოს“ პირველ შემადგენლობაში ხუთი ჩვენებური ირიცხება (**ლაშა თოთაძე, გიორგი ბახტაძე, გიორგი განუგრავა, თეიმურაზ შარაშენიძე, რატი ალექსიძე**), მაგრამ რეალურად მხოლოდ ალექსიძეს აქვს სათამაშო პრაქტიკა. I ტურშიც მხოლოდ რატიმ ითამაშა. მან მოედანზე 90 წუთი დაყო და შოპრონილიგის ოფიციალურ საიტზე 6-ბალიანი შეფასება მიიღო. ჩვენ თანამემამულეს უფრო I ტაიმში უაქტიურია.

ესტონური მეისტრილიგის 23-ე ტურში პოტენციურმა ლიდერმა „ფლორამ“ 6:3 გადაუგრბინა „ტამეკას“, გუნდს **ზაქარია ბეგლარიშვილის** დახმარება არ დასჭირვებია, ქართველი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. დასანანია, ერთ დროს პერსპექტიულ ფეხბურთელად მიჩნეული ფეხბურთელი, „ფლორას“ ძირითადშიც ვერ ხვდება, არადა ის უკვე 20 წლისაა. წლევანდელ ჩემპიონატში ზაქარიამ 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა. „ფლორა“ 48 ქულით მეორეა, თუმცა „ლევადიასთან“ (54 ქულა) შედარებით სამი თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

ფინეთის იკონენლიგაში (რანგით მეორე) კოკოლას კპვ-მ, რომლის შეტევათა ლიდერი **ირაკლი სირბილაძეა**, 1:0 მოუგო „ჰამეენლინას“. შეხვედრის 48-ე წუთზე გამარჯვების გოლი 27 წლის ქართველმა ფორვარდმა გაიტანა, რომელმაც 90 წუთი ითამაშა. ჩემპიონატის ლიდერი „როვანიემი“ 1:1 დაუზავდა ოულუს ოპს-ს. მასპინძელთა რიგებში 61-ე წუთზე შეცვალეს **პავლე ხორგუაშვილი**, მისი ტყუპისცალი **ვალტერი** კი სათადარიგო იყო. სტუმართა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **ანზორ კალაძემ**. „როვანიემი“ 34 ქულით ლიდერია, ოპს-ს და კპვ-ს 22-22 ქულა აქვთ (მე-6 და მე-7 ადგილები). იკონენლიგის ბომბარდირთა დავას 9-9 გოლით სირბილაძე და „როვანიემის“ ორი ზამბიელი ფორვარდი, **ნჩიმუნია მვეეტვა** და **ჩილეშე ჩიბვე** ლიდერობენ.

ირანული პრემიერლიგის II ტურში ჯაბა მუჯირის „ფოლადმა“ სტუმრად თეირანის „ესტეღლალი“ დაამარცხა - 2:1. სტუმართა ქართველმა მცველმა **ჯაბა მუჯირმა** შეუცვლელად ითამაშა.

ჰაიფას „მაქაბიმ“ ტოტოს თასზე 4:1 გაანადგურა აკოს „ჰაპოელი“, ამ შეხვედრაში ანგარიში მე-3 წუთზე **ლადო დვალიშვილმა** გახსნა. ეს სულ მეორე ოფიციალური მატჩია დვალიშვილის გუნდისთვის და ქართველმა ფორვარდმა ორივეჯერ თავი გამოიჩინა.

ყაზახეთის ჩემპიონატში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ“ ყარაღანდაში „შახტიორს“ 1:1 დაუზავდა. ქართველი ნახევარმცველი 83-ე წუთზე შეცვალეს.

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის მე-2 ტურში ჩემპიონმა „შერიფმა“ სტუმრად 0:0 ითამაშა „ოლიმპიასთან“, **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. „დაჩიამ“ კი „კოსტულენის“ 3:1 მოუგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რატი ალექსიძე

ინტერვიუ

# ჩემი წელიწადი მოდის

„სამეფო კლუბში" გადასვლიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ ფრანგი ფორვარდი ქარიმ ბენზემა მიიჩნევს, რომ ბოლომდე გაუშინაურდა გარემოს და ახალი საფეხბურთო წელი „მისი სეზონი" იქნება „რეალში". ბენზემამ კლუბის ოფიციალურ საიტს ინტერვიუ ლოს ანჯელესში მისცა, სადაც „ლოს ბლანკოსი" ახალი სეზონისთვის ემზადება.

**- რას უნდა ველოდოთ თქვენგან ახალ სეზონში?**

- უკვე ერთი წელიწადია „რეალში" ვთამაშობ, ესპანურიც უკეთ ვიცი, ასე რომ, თავს კლუბში ბოლომდე გაშინაურებულად ვთვლი. ვფიქრობ, ახალ სეზონში ჩემი დრო მოვა...

**- რას ჰპირდებით „რეალის" გულშემატკივრებს?**

- გოლებს. ვიმედოვნებ, რომ „რეალის" მაისურით ამ სეზონში ძალიან ბევრ გოლს გავიტან. ძალიან ბევრს ვიშრომებ, გულშემატკივრებს შეუძლიათ ჩემი იმედი ჰქონდეთ. ნამდვილად კარგი წელი მელის...

**- გუნდი წლეულს რა მიზანს ისახავს?**

- ჩვენ გვყავს ახალი მწვრთნელი, რომელიც ძალზე მონადინებულია და ბოლომდე ახალი პროექტის განხორციელებაშია ჩართული, რაც ძალიან დაგვეხმარება. ჩვენი მიზანია ისაა, რაც „რეალს" ეკადრება, მოგება ყველა ტურნირის, სადაც მონაწილეობას ვიღებთ.

**- რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ჟოზე მოურინიოზე?**

- მოურინიო უბრალოდ დიდი მწვრთნელია. ის ძალიან ძლიერია და ფეხბურთელთა დიდი მეოხია, მისი სიტყვები თვითრწმენას გვმატებს. ის ნამდვილი გამარჯვებულია და ჩვენგანაც მხოლოდ საუკეთესოს ითხოვს.

**- რა მოგთხოვათ მოურინიომ?**

- მან მითხრა ძალზე მარტივად - ვითამაშო ის ფეხბურთი, რაც შემიძლია და გავიტანო, რაც შეიძლება მეტი გოლი. ზუსტად ასე ვაპირებ მოქცევას. თითოეულ ჩვენგანში დარწმუნებულია, რაც ფრთებს გვასხამს ახალი სეზონის წინ.

**- „რეალში" ახალწვეულებიც არიან, რას იტყვით მათზე?**

- დიდებული ფეხბურთელები არიან და უთუოდ გააძლიერებენ მადრიდს. მთავარია, ისინი გუნდთან კარგად შეთამაშდნენ.

**- წინასასეზონო შეკრება როგორ მიმდინარეობს?**

- ყველაფერი კარგადაა. აქ თავს ძალზე მშვიდად ვგრძნობთ. მოკლედ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ბევრი ტიტული მოვიგოთ. ყველანი მონადინებულნი ვართ და ეს ვარჯიშებზეც კი იგრძნობა.

**- რას ეტყვის ქარიმ ბენზემა მადრიდისტებს?**

- ჰქონდეთ ჩვენი იმედი, ისევე როგორც ყოველთვის. მე მათ ბენზემას საუკეთესო ვარიანტს ვპირდები, ისეთს, როგორიც აქამდე ჯერ არ უნახავთ.

## რეალი კალიფორნიაში შეივსო

ამერიკაში მყოფი მადრიდის „რეალი" ნელ-ნელა შეივსო. თავიდან პირველი გუნდის სულ რამდენიმე ფეხბურთელი გაემგზავრა ლოს ანჯელესში, რომელთა შორისაც **კრიშტიანო რონალდო** და **ქარიმ ბენზემა** იყვნენ. „რეალთან" ერთად არიან სარეზერვო გუნდის ფეხბურთელებიც. პარასკევს გუნდს **გონსალო იგუაინმა** ჩააკითხა, რომელმაც უკვე შაბათს ივარჯიშა პირველად. იგუაინი „რეალის" ბანაკში მე-20 ფეხბურთელი იყო. სხვათა შორის, შაბათის ვარჯიშზე ყველაზე აქტიურები სწორედ არგენტინელები იყვნენ, იგუაინი და ახალწვეული **ანხელ დი მარია.**

*„ძალიან კარგად მიმიღეს გუნდში. ძალიან მოტივირებული ვარ და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. რითაც შემეძლება, გუნდს აუცილებლად დავეხმარები. „რეალ მადრიდი" დიდი კლუბია და აქ უდიდესი კონკურენციაა, თუმცა მეიმედება, რომ თამაშის საშუალება მექნება. ჩემპიონთა ლიგა ყველაზე ძლიერი საკლუბო პირველობაა ფეხბურთში, მოურინიომ ის ორჯერ მოიგო და ახლა ამას ჩვენთან ერთად გააკეთებს"* - აცხადებს დი მარია.

შაბათს, ნაშუადღევს, „რეალის" ბაზაზე ბრაზილიელი **კაკაც** მივიდა, იგი თანაგუნდელებს შეხვდა და ახალ მწვრთნელს გამოელაპარაკა. ვარჯიში კი კაკამ კვირიდან დაიწყო. გუშინ „რეალის" ბანაკში მსოფლიოს ჩემპიონები **ალვარო არბელოა, რაულ ალბიოლი,** აგრეთვე მუნდიალის ფინალისტი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** და ორი ახალწვეული, **სერხიო კანალესი** და **სამი ხედირა** გამოცხადნენ. ამის შემდეგ, **ჟოზე მოურინიოს** განკარგულებაში 25 ფეხბურთელია, 20 პირველი გუნდისა და 5 სარეზერვოს წევრი. კალიფორნიაში 25-დან 5 „რეალის" ახალწვეულია. მოკლედ, მოურინიოს პრობლემა არ აქვს, გარდა ერთისა - მას ადარდებს კაკას ფიზიკური მდგომარეობა. კაკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც სტკიოდა ფეხი და, როგორც მოურინიო ამტკიცებს, ის მხოლოდ 85 პროცენტით იყო მზად მუნდიალისთვის.

„დიარიო ასი" მიიჩნევს, რომ „რეალი" არა მარტო ყიდულობს, არამედ გაყიდის კიდეც. სამი ხედირას მისვლა იმის ნიშანია, რომ „რეალის" ხუთი დაცვითი სტილის ნახევარმცველიდან ერთ-ერთს აუცილებლად გაყიდიან. თავისთავად ცხადია, რომ თავად ხედირასა და მსოფლიოს ჩემპიონ **ჩაბი ალონსოს** ეს არ ემუქრებათ. რჩება სამეული: **ფერნანდო გაგო, ლასანა დიარა** და **მაჰამადუ დიარა,** რომელთაგან ერთ-ერთს „ლოს ბლანკოსთან" განშორება ემუქრება. სავარაუდოდ „რეალი" მალის ნაკრების წევრ მაჰამადუ დიარას გამოეთხოვება, რომელიც „სამეფო კლუბში" 2006 წელს 26 მილიონი ევროს სანაცვლოდ მივიდა. ლასანა დიარას შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს, მაგრამ აქ ერთი მომენტია - ფრანგმა ჟოზე მოურინიოს ერთობ მოაწონა თავი ვარჯიშებზე და ჟოზეს არ სურს კლუბი ლასს გამოეთხოვოს.

მადრიდელთა დირექტორმა **ემილიო ბუტრაგენიომ** განაცხადა, რომ „რეალში" მოურინიოს მისვლით კლუბის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. *„ჩვენ გვყავს მწვრთნელი, რომელიც ძალზე მონდომებულია და ფეხბურთელებსაც თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს. ყოველი ვარჯიში „რეალში" ამ სიტყვების დასტურია. წინ მომქანცველი ცხრა თვეა"* - აცხადებს „ელ ბუიტრე".






ბარსელონა

# ლეო მესი: ყველაფერი ჩვენ გვინდა!

## რაფა მარკესი წითელი ხარია

მაშინ როცა პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი ფავორიტი „რეალი" კალიფორნიაშია, ჩემპიონი „ბარსელონა" სამხრეთ კორეაში დაბანაკდა. კატალონიური კლუბი აზიურ ტურნეზე ნორვეგიიდან გაემართა, სადაც „ვალერენგასთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 4:2 მოიგო. სულ ბოლოს გუნდს **ლეო მესი** და **დანი ალვეში** შეუერთდნენ, მაგრამ **ბოიან კრკიჩი** და **ჟეფრენი** დააკლდნენ, რადგან ისინი ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. ამგვარად **ხოსეპ გვარდიოლას** განკარგულებაში პირველი გუნდის 9 წევრი და 17 სარეზერვო გუნდის ფეხბურთელი დარჩა. ერთი ფეხბურთელი უკვე ალარასოდეს შეუერთდება „ბარსელონას" მზადებას - **რაფაელ მარკესი** ოფიციალურად გამოეთხოვა გუნდს. შვიდწლიანი კატალონიური კარიერის შემდეგ მარკესი გუნდს დაემშვიდობა, თუმცა განაცხადა, რომ სიკვდილამდე „ბარსას" ფანი იქნება. რაფა მარკესმა „ბარსელონასთან" ერთად 12 ტიტული მოიპოვა. წუხელ რაფა მარკესმა ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი მლს-ის კლუბ „ნიუ იორკ რედ ბულზთან". 31 წლის მექსიკელი კვლავ **ტიერი ანრის** გუნდელი იქნება. ისევე როგორც ანრი, მარკესიც თავისუფალ აგენტად გადავიდა ნიუ იორკში.

„ბარსელონა" სეულში ჩაფრინდა, სადაც ხოსეპ გვარდიოლამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მომავალ მატჩს მიეძღვნა. 4 აგვისტოს „ბარსელონა" კეი ლიგის „ყველა ვარსკვლავის" გუნდს შეხვდება. სეულის აეროპორტში გუნდს ათასობით ფანი დახვდა. ყველას ყურადღების ცენტრში არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი იყო. კორეელ ჟურნალისტებს მესიმ განუცხადა, რომ „ბარსელონას" ყველა ტიტულის მოგება აქვს დასახული: *„ჩვენ უნდა მოვიგოთ ყველაფერი, ვიცი, რომ ეს ძალზე რთულია, მაგრამ ჩვენ დიდებული ფეხბურთელები გვყავს და შეგვიძლია ტიტულების მოგება. როცა გუნდში მსოფლიოს ჩემპიონები დაგვიბრუნდებიან, ისინი კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგებიან ვარჯიშს. ყველას მიზანი ერთია - ყველა ტიტული „ბარსას"*.

### დარჩა

„ბარსელონას" მცველმა **კარლეს პუიოლმა** გადაიფიქრა ეროვნული ნაკრებიდან წასვლა. კატალონიური გუნდის კაპიტანმა განაცხადა, რომ კიდევ ორ წელს დარჩება და ესპანეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაში დაეხმარება. „მწვრთნელებისა და თანაგუნდელების თხოვნის შემდეგ გადავწყვიტე ნაკრებს კიდევ ორი წელი მივუძღვნა, ვრჩები", - დაწერა პუიოლმა საკუთარ ბლოგზე. 32 წლის პუიოლმა აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად მისი გადაწყვეტილების შეცვლაზე **ვისენტე დელ ბოსკესა** და **ფერნანდო იეროს** სიტყვებმა იმოქმედეს.

### კომბინაცია ჩაიშალა

პრიმერა დივიზიონში დაბრუნებულ „რეალ სოსიედადს" „მანჩესტერ სიტის" ფორვარდის, **ჟოს** შეძენა სურდა, მაგრამ ბასკური კლუბი დანებდა, რადგან ვერაფრით მოხერხდა ფეხბურთელის ფასზე შეთანხმება. ჟო მოსკოვის ცსკადან 18 მილიონ ფუნტ სტერლინგად გადავიდა „სიტიში", მაგრამ ისტლენდელებში დამკვიდრება ვერ შეძლო. გასული სეზონი ბრაზილიელმა იჯარით თურქულ „გალათასარაიში" გაატარა. მან თავი ვერც თურქეთში გამოიჩინა, სულ რაღაც 13 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა. „სიტის" აღარ სურს მისი იჯარით გასხვისება, რადგან **რობერტო მანჩინიმ** მისი გაყიდვა მოითხოვა.

### ვენესუელის ნაკრებში მინდაო...

ბილბაოს „ატლეტიკის" ცენტრალური მცველი **ფერნანდო ამორებიეტა** აცხადებს, რომ სიამოვნებით გამოიცვლის მოქალაქეობას და ვენესუელის ნაკრებში ითამაშებს. *„ყოველთვის მსურდა ვენესუელის ნაკრებში თამაში. ადრე ეს შეუძლებელი იყო, რადგან ახალგაზრდულ ასპარეზზე ესპანეთის ასაკობრივ გუნდში მითამაშია, მაგრამ მას მერე ფიფამ წესები შეცვალა. ერთი სული მაქვს, როდის გამომიძახებენ ნაკრებში. მე პირველივე დაძახილზე სიამოვნებით წავალ"*. არ გეგონოთ, რომ 25 წლის ამორებიეტას მემარცხენე იდეები აწუხებს. მის არჩევანში პოლიტიკური არაფერია - ფერნანდო ვენესუელაშია დაბადებული, თუმცა მისი მშობლები ბასკები იყვნენ, რომლებიც შემდეგ ესპანეთში დაბრუნდნენ საცხოვრებლად.

დანიშვნა

## ბაჯო ფეხბურთში დაბრუნდა

ლეგენდარული **რობერტო ბაჯო,** რომელიც ახლა 43 წლისაა, „სკუადრა აძურაში" დაბრუნდა... როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი. ჟურნალისტებთან საუბრისას ბაჯომ აღნიშნა, რომ ძლიერ მოტივირებულია და ახალი სამსახურიც ერთობ მოსწონს. რა მიხვედრა უნდა, რომ „ღვთაებრივი ცხენისკუდას" დანიშვნა იტალიის ნაკრების სამუნდიალო კრახითაა გამოწვეული. „ფედერკალჩოში" ფიქრობენ, რომ „სკუადრა აძურას" გარშემო სწორედ ასეთი ავტორიტეტები უნდა იყვნენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გაფრთხილება

# კოულზე ფიქრს თავი დაანებეთ...

## ანუ სად მეგობრობა და სად პროფესიონალიზმი?!


ეშლი კოული

**კარლო ანჩელოტიმ** ჟოზე მოურინიოს ურჩია, რომ **ეშლი კოულის** „რეალში" გადაყვანაზე ფიქრს თავი დაანებოს. მადრიდელთა თავკაცი ლონდონელი „ლურჯებისა" და ინგლისის ნაკრების 29 წლის მარცხენა მცველის გადაბირებას ძალიან ცდილობს და ამ საქმეში ძირითადად პირად ურთიერთობებს ეყრდნობა. მოგეხსენებათ, პორტუგალიელი მწვრთნელი 2004-2007 წლებში თავად ედგა „ჩელსის" სათავეში და კოული „არსენალიდან" დასავლეთ ლონდონში მისი გადაყვანილია. თუმცა, ანჩელოტი კოლეგას შეახსენებს, რომ ფეხბურთში მთავარი არა მეგობრობა, არამედ პროფესიონალიზმია.

*„არ მაინტერესებს, რა ურთიერთობა აქვს ჩემს ფეხბურთელს სხვა მწვრთნელებთან - თქვა იტალიელმა - ის, რომ მოურინიო ეშლი კოულთან მეგობრობს, სრულიად გასაგები და ნორმალურია, მაგრამ ამის გამო საქმისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა. კოული „ჩელსის" ფეხბურთელია და ასეთად დარჩება. გამორიცხულია, მას სადმე წასვლის ნება მივცეთ. ყველამ დაივიწყოს, რომ ეშლიმ შესაძლოა ოდესმე ჩვენი კლუბი დატოვოს".*

შეგახსენებთ, რომ კოულის ლონდონიდან სხვაგან წასვლის თემა ფეხბურთსმილმა ამბებზეა აღმოცენებული. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ვარსკვლავმა ცოლს, ხალხის საყვარელ პოპვარსკვლავ **შერილ ტვიდი-კოულს** უღალატა და ეს ამბავი გაზეთებში დაიწერა. ღალატს ტაბლოიდებში ერთი ამბავი მოჰყვა, რამაც ფეხბურთელი წყობიდან გამოიყვანა და სადღაც, ვილაცასთან თქვა, ყველაფერი ინგლისური მეზიზღებაო. და ისევ არ გაუმართლა: მისი ეს ნათქვამი ისევ გაზეთების ფურცლებზე მოხვდა და საზოგადოების რისხვა გამოიწვია.

სწორედ მაშინ გაჩნდა აზრი, რომ ინგლისში დარჩენას და დაუსრულებელი ლანძღვის გაძლებას უცხოეთში გადაბარგება სჯობს. დღეს „რეალი" მზადაა „ჩელსის" კოულში 24 მილიონი ევრო გადაუხადოს, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ანჩელოტი ფეხბურთელის გაშვებას ცოცხალი თავით არ აპირებს.

*„არ არსებობს თანხა, რომელსაც ჩვენ შემოგვთავაზებენ და ეშლი კოულის გაყიდვაზე დაგვიყოლიებენ. ჩვენი ღრმა რწმენით, ის მსოფლიოში საუკეთესო მარცხენა მცველია და ამიტომაც არ ვაპირებთ მასთან თანამშრომლობის შეწყვეტას".*

სასეირო ამბავი


სოლ კემპბელი არასაფეხბურთო ფორმაშია

# სოლის ლიპი

ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში დაიბეჭდა „ნიუკასლ იუნაიტედის" ახალი წევრის, ცნობილი ვეტერანის **სოლ კემპბელის** ფოტო, სადაც 35 წლის ვარსკვლავს... ლიპი აქვს. ამ ამბავმა ფეხბურთელი, რომელსაც 1996-2007 წლებში ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 73 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ძალიან გააღიზიანა. კემპბელმა თქვა, რომ მას, ახალ გუნდთან კონტრაქტის გაფორმების პირველსავე კვირას შეუტიეს და სცადეს რაც შეიძლება ცუდად წარმოეჩინათ „კაჭკაჭთა" გულშემატკივრის წინაშე. კერძოდ ვეტერანმა ბრძანა:

*„დაუჯერებელია. სულ სამი დღეა რაც ვვარჯიშობ, სამად სამი დღე... სხვა ფეხბურთელებს მზადება უკვე სამი კვირის დაწყებული აქვთ. წარმოგიდგენიათ, რა უპირატესობა აქვთ დანარჩენებს ჩემთან შედარებით? ანდა, დავიჯერო, ამ გაზეთში არ იცოდნენ, რომ ახლახან ცოლი მოვიყვანე და თაფლობის თვე მქონდა? კი ბატონო, ვაღიარებ, რომ ფოტო, რომელიც დაიბეჭდა ნაღდია. ის დამუშავებული და გადაკეთებული არ გახლავთ, მაგრამ სავარჯიშო მაისურაც ზედმეტად მოტკეცილი იყო და სხეულს ზედმიწევნით კვეთდა. ამწუთას მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: დღეს გაცილებით უკეთესად ვარ, ვიდრე მაშინ, ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ „არსენალში" რომ მივედი. იქ, „არსენალში" ფორმა აღვიდგინე და ვფიქრობ, გასული სეზონის ბოლო მონაკვეთი შესანიშნავად ვითამაშე".*

კემპბელმა კარგად იცის, რომ ფორმის სწრაფად აღდგენა შეუძლებელია, თუმცა ისიც შესანიშნავად მოეხსენება, რომ თავისას მიაღწევს და „ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება.

*„ვერაფერს შევცვლი, ასეთად დავიბადე - ზორბა კაცი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ფორმაში სწრაფად ჩადგომასა და წონის დაკლებას ვერ დავაძალებ, რადგან ამან შეიძლება ტრავმები გამოიწვიოს. რასაკვირველია, მესმის, რომ მწვრთნელს შემადგენლობაში ვჭირდები, მაგრამ სეზონის დაწყებამდე ხომ ჯერ კიდევ ორი კვირაა. ჩემთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში ჩასადგომად სამი, მაქსიმუმ, ოთხი კვირა მჭირდება.*

*ეს ყველაფერი ადრეც გადამხდენია, მომისმენია, მითქვამს და მინახავს. იმის თქმა მინდა, რომ ზუსტად ვიცი ასეთ დროს რა უნდა გავაკეთო. წინ ხანგრძლივი სეზონია და იდიოტებს ყური არ უნდა დავუგდო. ფორმაში იმდენ ხანში ჩავდგები, რამდენი ხანიც ჩემს ორგანიზმს სჭირდება საამისოდ. რასაკვირველია, თამაშებს შორის დამატებითი ვარჯიშები დამჭირდება. ერთი სიტყვით, მინდა ყველა შერყეულმა იცოდეს, რომ მე დიდებულ გუნდში გადავედი, სადაც დიდებული მწვრთნელის (კრის ჰაფტონის) ხელმძღვანელობით უნდა ვითამაშო. ამიტომაც, ჯერ მაცადეთ, ავთამაშდები და დასკვნები მერე გამოიტანეთ".*

სეზონის წინ

# ვენგერის ახალი ყმაწვილები

„არსენალის" თავკაცს **არსენ ვენგერს** სწამს, რომ **ჯეკ უილშერს** ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებს შემადგენლობაში ბრწყინვალედ გამოსვლა შეუძლია. „სელტიკთან", „ემირეიტის თასზე" (ლონდონელებმა მოიგეს 3:2) ამ ყმაწვილკაცისა და მისი თანატოლი განელის **ემანუელ ფრიმპონგის** თამაშმა „მეთოფეთა" მწვრთნელზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ის დარწმუნებულია - ამ ზაფხულს ახალი ნახევარმცველების ყიდვა საჭირო აღარ არის. უილშერიცა და ფრიმპონგიც 18 წლისანი არიან.

ვენგერმა თქვა: *„ვფიქრობ, ორივეს დიდი მომავალი ელის. ორივე ბრძოლის ჟინით არის აღსავსე, თავში მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრი უტრიალებთ და მზად არიან დღესვე ჩაერთონ „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ნებისმიერი ტიტულისთვის საბრძოლველად. საერთოდ, 18 წლის ახალგაზრდას ყველაფერი წინ აქვს და თავის შანსს მოთმინებით უნდა ელოდებოდეს, მაგრამ უილშერს რომ ვაკვირდები ვატყობ, გასულ სეზონთან შედარებით ძალიან აქვს მომატებული. იმ რამდენიმე თვემ, რომელიც მან წინა სეზონში „ბოლტონში" გაატარა (გაქირავებული იყო) ძალიან ბევრი შესძინა. 2012 წელს კი ის 20 წლისა იქნება. ხომ გახსოვთ თეო უოლკოტის ამბავი? 2017 წელს მას პრემიერლიგაში ერთი თამაშიც არ ჰქონდა ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წაიყვანეს. ის იმხანად 17 წლისა იყო, მაგრამ ამას უოლკოტის კარიერისთვის ხელი არ შეუშლია. უმაღლეს დონეზე რომ ითამაშო, ასეთ გამოწვევებს არ უნდა შეუშინდე".*

უილშერი ის ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც **ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრების მომავალზე ლაპარაკისას ადრევე მოიხსენია. ასე რომ, მის შესახებ ხალხმა ასე თუ ისე იცოდა. აი, განელი ფრიმპონგი რომ ასე საიმედო ნახევარმცველი იყო, ვენგერის ამ ინტერვიუმდე მრავალრიცხოვანი გულშემატკივრისთვის ნაკლებად გახლდათ ცნობილი. და, რომ იცოდეთ, წარმოშობის მიუხედავად, ფეხბურთელი, რომელსაც „არსენალის" თავკაცი უკვე ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსად მიიჩნევს, ინგლისის ნაკრებს უმიზნებს - მან უკვე მოსინჯა ძალა ინგლისის 16 წლამდელთა და 18-წლამდელთა ნაკრებებში.

ვენგერი: *„თქვენ წინაშეა ბიჭი, რომელმაც ინგლისისა და განის ნაკრებთა შორის არჩევანი უნდა გააკეთოს. მე რომ ინგლისელი ვიყო, დიდხანს აღარ გავაჯანჯლებდი, რაც შეიძლება მალე გამოვიძახებდი დიდ ნაკრებში და დავაფიქსირებდი, რომ იქ ნათამაშები აქვს".*

გლაზგოელების წინააღმდეგ არ უთამაშიათ **ალექს სონგს, დენილსონს, აბუ დიაბისა** და **აარონ რემსის**, მაგრამ უილშერისა და ფრიმპონგის ხსენებული წყვილის წყალობით „არსენალს" ნახევარდაცვაში არაფერი დაკლებია.


ჯეკ უილშერი

ისევ ვენგერი: *„თავიდან არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ ორ ყმაწვილს ჩამშლელი ნახევარმცველობა შეეძლოთ. ვფიქრობდით, ბაზარზე გავსულიყავით და მოედნის შუაში გამოსადეგი ფეხბურთელი გვეყიდა, მაგრამ ახლა აშკარაა, რომ ეს აღარ გვჭირდება".*

თუმცა ფრანგმა მწვრთნელმა აღიარა, რომ „მეთოფეებს" ცენტრალური მცველების პრობლემა აქვთ. მართლაც, ამ ზაფხულს ჩრდილოლონდონელებს დაემშვიდობნენ **უილიამ გალასი, ფილიპ სენდეროსი, სოლ კემპბელი** და **მიკაელ სილვესტრი**. მაშ, ვინღა დარჩა? **იოან დჯურუ**, რომელმაც გასულ სეზონში მუხლის ტრავმის გამო პრემიერლიგაში სულ 28 წუთი ითამაშა, ფრანგული „ლორიანიდან" ახალნაყიდი **ლორან კოსიელნი** და შემორჩენილ ცენტრალურ მცველთა შორის ყველაზე ცნობილი **ტომას ვერმალენი**.

„არსენალის" კიდევ ერთი პრობლემაა მეკარე. შაბათს, იმავე „ემირეიტის თასზე", „მილანთან" 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში ლონდონელთა კარს **ლუკაშ ფაბიანსკი** იცავდა, „სელტიკთან" კი ძელებს შორის **მანუელ ალმუნია** ჩადგა.

საბოლოოდ კი შეჯიბრებაში, რომელშიც „არსენალის", „მილანისა" და „სელტიკის" გარდა „ლიონიც" მონაწილეობდა, „მეთოფეებმა" გაიმარჯვეს.

სატრანსფერო ამბები

# ლენდონიდან ლივერპულამდე შორია

„ევერტონის" მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** თქვა, რომ ამერიკელ ვარსკვლავს **ლენდონ დონოვანს** „გუდისონ პარკზე" სათამაშოდ ხელმეორედ, ალბათ, ველარ იქირავებენ. შეერთებული შტატების ნაკრების 28 წლის კაპიტანი „ევერტონის" ფანებმა გასული სეზონის 13 თამაშის განმავლობაში ძალიან შეიყვარეს. შეგახსენებთ, რომ დონოვანი „ლოს ანჯელეს გელექსის" ფეხბურთელია, სადაც **დევიდ ბექჰემთან** ერთად გამოდის.

*„ჩვენ ლენდონს დიდი სიამოვნებით ვიქირავებდით კიდევ ერთხელ, მაგრამ თანხა, რომელიც მასშია გადასახდელი, „ევერტონისთვის" ძალიან დიდია. ასეთი ფინანსები ჩვენ არ გვაქვს. მეიჯორ ლიგ სოკერი (MLS) მეტისმეტად ბევრს ითხოვს, რასაც საკუთრივ დონოვანის ასაკიც ემატება"*, - თქვა შოტლანდიელმა სპეციალისტმა.

იმ სამი თვის განმავლობაში, რომელიც დონოვანმა პრემიერლიგაში გაატარა, მან სამი გოლი შეაგდო და გარდა იმისა, რომ „ევერტონს" გამოადგა, თავადაც კარგად მოემზადა - „ინგლისურად ნავარჯიშებმა" სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი.

რაც შეეხება „ევერტონის" ფინანსურ მდგომარეობას, მოიესის თქმით, მისი კლუბის შეჭირვება მხოლოდ დონოვანის ყიდვას კი არ აბრკოლებს, არამედ ზოგადად, სატრანსფერო აქტიურობას ზღუდავს. მოიესი:

*„ერთადერთი, რაც ამ ზაფხულს, ჯერჯერობით, გავაკეთეთ, ესაა: ფრანგული „სტრასბურიდან" ნაგაიე გეიე ვიყიდეთ. ჯერმეინ ბეკფორდისა და იან მუხას დამატება კი სათვალავში შესატანი არ არის, რადგან ერთიცა და მეორეც თავისუფალი აგენტები იყვნენ და მათში პენიც არ გადაგვიხდია. ერთი სიტყვით, პრემიერლიგის სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე საერთოდ არ ვაქტიურობთ და დარწმუნებული ვარ, სექტემბრისთვის ვიქნებით ის ინგლისური კლუბი, რომელმაც ყველაზე ცოტა დახარჯა".*

ლივერპულელთა ფინანსურ გაჭირვებას ისიც ადასტურებს, რომ ერთი ხნის წინ მათ საკუთარი ფეხბურთელისთვის, 20 წლის **დენ გოსლინგისთვის** უნდოდათ ახალი კონტრაქტის შეთავაზება, მაგრამ ვერ მოახერხეს და მცველ-ნახევარმცველი „ნიუკასლ იუნაიტედს" დაუთმეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


ლენდონ დონოვანი

სატრანსფერო

# ბენიტესი ლუჩო გონსალესით დაინტერესდა

მივიდა თუ არა **რაფაელ ბენიტესი** „ინტერში“, პირველი ის განაცხადა, რომ გუნდი ნახევარდაცვის რგოლში საჭიროებს გაძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება თავიდანვე საყრდენ ნახევარმცველებს მიექცათ და არჩევანი **ხავიერ მასკერანოზე** შეჩერდა. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან არგენტინელი ნახევარმცველი „ლივერპულში“ სწორედ რაფას შეგირდი იყო და მისი შესაძლებლობები ესპანელ სპეციალისტს შესანიშნავად მოეხსენება. თუმცა, ბოლო დროს „ინტერისა“ და „ლივერპულის“ მესვეურთა მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ბენიტესი ალტერნატიულ ვარიანტზე დაფიქრდა.

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელსაც ფრანგული წყაროები უმაგრებენ ზურგს, ბენიტესმა **ლუჩო გონსალესს** დაადგა თვალი და უახლოეს დღეებში, ფეხბურთელთან პირადად შეხმიანებას აპირებს. ლუჩო „მარსელის“ საკუთრებაა, ფრანგული კლუბი ფეხბურთელთან განშორების სურვილით არ იწვის, მაგრამ თუ მილანელებმა გვარიანად გაიკრეს ჯიბეზე ხელი, დიდია შანსი, სანადელს მიაღწიონ. „გაძეტას“ ცნობით, უახლოეს დღეებში „ინტერის“ მესვეურები ლივერპულელი კოლეგებისგან საბოლოო პასუხს მიიღებენ და თუ მასკერანოს ტრანსფერი არ შედგა, მაშინ გონსალესის საკითხი წამოიწევს წინა პლანზე.

**ლაშა ნიკლაური**



ლუჩო გონსალესი

იტალია



# უფრო შემოქმედებითი სკუადრა აძურა

## პრანდელიც 4-2-3-1-ს ამუშავებს

**საფეხბურთო იტალია სატრანსფერო საკითხებზე მსჯელობით გახლდათ დაკავებული, როდესაც ჩეზარე პრანდელიმ სანაკრებო შემადგენლობა დაასახელა და ყურადღების ეპიცენტრშიც მისმა პერსონამ გადაინაცვლა. მასთან ერთად კი იმ ფეხბურთელებმა, რომლებზეც არჩევანი „სკუადრა აძურას“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა შეაჩერა. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განაცხადს და თემა განვავრცოთ...**

მეკარეები - **სალვატორე სირიგუ** (პალერმო), **ემილიანო ვივიანო** (ბოლონია), **მარკო სტორარი** (იუვენტუსი), **ანტონიო მირანტე** (პარმა);

მცველები - **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **კრისტიან ძაკარდო** (პარმა), **მატია კასანი** (პალერმო), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **სალვატორე ბოკეტი** (ჯენოა), **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი);

ნახევარმცველები - **ტიაგო მოტა** (ინტერი), **კრისტიან ლედესმა** (ლაციო), **დანიელე გალოპა** (პარმა), **ანდრეა პირლო** (მილანი), **დანიელე დე როსი** (რომა), **ანჯელო პალომბო** (სამპდორია), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა), **კლაუდიო მარკიზიო** (იუვენტუსი), **სიმონე პეპე** (იუვენტუსი), **მარკო მარკიონი** (ფიორენტინა);

თავდამსხმელები - **ალბერტო ჯილარდინო** (ფიორენტინა), **მარკო ბორიელო** (მილანი), **ჯამპაოლო პაცინი** (სამპდორია), **ანტონიო კასანო** (სამპდორია), **მარიო ბალოტელი** (ინტერი), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი), **ფაბიო კვალიარელა** (ნაპოლი), **რაფაელე პალადინო** (ჯენოა).

**ჩეზარე პრანდელიმ** იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველად გაახმაურა მის მიერ შერჩეული შემადგენლობა. მართალია, გაფართოებულ განაცხადზეა საუბარი, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იტალიური საფეხბურთო სამყარო ამ თემაზე ალაპარაკებულიყო. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, როგორი იქნება პრანდელის ფორმაციის „სკუადრა აძურა“ და გაცხადებული შემადგენლობა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

პირველი, რასაც **მარჩელო ლიპის** მუდმივად საყვედურობდნენ, ფანტაზისტაზე უარის თქმა გახლდათ. შესაბამისად, აპენინური მედია კმაყოფილია, რომ პრანდელის შემადგენლობაში გაცილებით უფრო მეტი შემოქმედებითი ყაიდის ფეხბურთელია. პირველ რიგში **ანტონიო კასანო** უნდა ვახსენოთ, რომელიც ლიპის ათვალწუნებული ჰყავდა და ისიც ამაოდ ითხოვდა ეროვნულ გუნდში გამოძახებას. დაინიშნა თუ არა „აძურას“ თავკაცად პრანდელი, პირველი, ვინც ფეხბურთელთაგან კომენტარი გააკეთა, სწორედ ანტონიო გახლდათ - იმედია, ლიპი დამსახურების მიხედვით გამოიძახებს ფეხბურთელებს და თუ ისევე ვითამაშე როგორც გასულ სეზონში, შანსი მეც მომეცემაო. ჯერ სეზონი არ დაწყებულა და კასანო უკვე ფიგურირებს სანაკრებო განაცხადში, ასე რომ, საქმე იმაზე უკეთ არის, ვიდრე ეს შეიძლება თავად ფეხბურთელს წარმოედგინა. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ფანტაზისტა, **ჯუზეპე როსი** გახლავთ. შესაძლოა, ისეთი ვურტუოზი ვერ არის, როგორიც ვთქვათ **რონალდინიო**, მაგრამ დაგვეთანხმებით, მასზე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოქმედებითი სტილის ფეხბურთელია: სწრაფია, ტექნიკური და არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.

გადავხედოთ ნახევარდაცვას, სადაც ერთ ძალიან საინტერესო ფეხბურთელს აღმოვაჩენთ: **კრისტიან ლედესმას** - არგენტინული წარმოშობის ახალი იტალიელი, რომელიც, როგორც ჩანს, სულ მალე „სკუადრა აძურას“ ამუნიციას მოირგებს. ძალიან ბევრს მოძრაობს, ტექნიკურია და თანაბარი წარმატებით შეუძლია მეტოქე გუნდის იერიშების ჩაშლა და შეტევების ორგანიზება. ამ კომპონენტში ის შეგვიძლია **ანდრეა პირლოსაც** კი შევადაროთ, რომელიც ასევე დაჯილდოებულია მოედნის იდეალური ხედვით და გრძელი პასების კულტურით. ერთი სიტყვით, ლედესმა ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და ვნახოთ, რამდენად მყარად მოიკიდებს ფეხს იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. აი, რაც შეეხება **ტიაგო მოტას**, ის უფრო ჩამშლელია და „ინტერშიც“ სწორედ ეს ფუნქცია აკისრია. მართალია, შეტევებში ჩართვაც სჩვევია და გოლიც არაერთი გაუტანია, მაგრამ მისი ფუნქცია პირველ რიგში მეტოქეთა იერიშების ჩაშლაა. ამ კუთხით „აძურა“ დიდ ძალას მიიღებს, რადგან მოტამ თავისი საქმე ხუთიანზე იცის. როგორ შეიძლება დავახასიათოთ ტიაგო? - პირველ რიგში, სიტყვა სტაბილურობა გვახსენდება. ბრაზილიური წარმოშობის ნახევარმცველი ძალიან სტაბილურია და მისი ჩაგდებული შეხვედრის გახსენება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

კიდევ ორი ახალი იტალიელი შეიძლებოდა გვეხილა პრანდელის სიაში, თუმცა ამჯერად, მათი გამოძახებისგან ჩეზარემ თავი შეიკავა. საუბარია **მაურო სარატესა** და **კარვალიო ამაურიზე**. პირველმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაამტკიცა, რომ იტალიელი ემიგრანტების შთამომავალია და მოქალაქეობაც მაშინვე მიიღო, აი ამაურის ყბადაღებული პასპორტის ისტორიები კი ყველასთვის ცნობილია. ასეა თუ ისე, პრანდელის მათი გამოძახებაც შეუძლია და ვნახოთ, მიეცემათ თუ არა შანსი. ისე, სარატეც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ფანტაზისტთა რიცხვს და მისი გამოძახება, ამ მხრივ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა - თუმცა, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო და რაღა თქმა უნდა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავარდე. პრანდელიმ ეს ჩვენზე უკეთ იცის, ერთობ ფრთხილ სპეციალისტად ითვლება და ბალანსის დაცვა არ უნდა გაუჭირდეს.

„გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, პრანდელის იტალია მეტწილად 4-2-3-1 ტაქტიკით იასპარეზებს. ეს ის სქემაა, რომელსაც ჩეზარე „ფიორენტინაშიც“ აქტიურად იყენებდა და როგორც ჩანს, ტრადიციას არც ეროვნულ ნაკრებში უღალატებს. დიდია შანსი, ფლანგებიდან ანტონიო კასანომ და ჯუზეპე როსიმ შეუტიონ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი მართლაც დიდი არჩევანია. ისე, წესით, ძალიან საინტერესო უნდა იყოს ფლანგებზე მოასპარეზე კასანოსა და როსის ხილვა. ცენტრფორვარდად ასპარეზობის ამბიცია ბევრს აქვს, მათ შორის **მარიო ბალოტელის**, მაგრამ ექსპერტთა აზრით, დიდია შანსი „ინტერისტთა“ გაფართოებული შემადგენლობის გაფილტვრის პროცესში მოყვეს. ანუ, მისი ეროვნულ გუნდში დებიუტი გადაიდოს. პრანდელის სიმპათიები უფრო **ალბერტო ჯილარდინოსკენ** იხრება, რომელიც მისი შეგირდი გახლდათ წლების განმავლობაში და ბოლომდე ენდობა. მეტიც, ჟურნალისტთა ვარაუდით, თუ არ აურია, ჯილას გარანტირებული ექნება ადგილი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. წესით, კარგი შანსები უნდა ჰქონდეს **ფაბიო კვალიარელასაც**, ერთადერთ იტალიელ ფეხბურთელს, რომელმაც მუნდიალზე ნორმალური და შეიძლება ითქვას, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ორიოდე სიტყვა დაცვის ხაზზეც ვთქვათ, სადაც ასევე გვხვდება რამდენიმე ახალი ფეხბურთელი. ახალში დებიუტანტს არ ვგულისხმობთ, უფრო იმათ, ვინც მარჩელო ლიპიმ თამაშგარეში დატოვა. მთავარი კითხვა ასე ჟღერს: ვინ შეუწყვილდება დაცვის ცენტრში **ჯორჯო კიელინის**? - პასუხი ასეთია: სავარაუდოდ, **ლეონარდო ბონუჩი**. დიახ, ლეო „იუვენტუსშიც“ იმად გადავიდა, რომ ჯორჯოს შეუწყვილდეს და სავარაუდოდ, იგივე მოხდება ეროვნულ ნაკრებშიც. თუმცა, ეს ჯერ მაინც შანსია, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელმა უნდა გამოიყენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრანდელის ალტერნატიული ვარიანტის გამოძებნა მოუწევს. მაგალითისთვის **ალესანდრო გამბერინი** შეგვიძლია ვახსენოთ, რომელიც ჩეზარეს შეგირდი გახლდათ „ფიორენტინაში“ და მისი დიდი ნდობითაც სარგებლობს. განაცხადში ვხედავთ **მატია კასანის** და **სალვატორე ბოკეტის**, რომლებიც ბოლო მომენტში დარჩნენ სამხრეთაფრიკული მუნდიალის მიღმა. ამასთან, პრადელიმ **კრისტიან ძაკარდო** გაიხსენა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც ბევრი იარა თუ ცოტა, „პარმაში“ აღმოჩნდა და როგორც ჩანს, საკუთარი თავი ხელმეორედ სწორედ ემილიურ გუნდში იპოვა.

ბოლოს, ანტონიო კასანოსა და მარიო ბალოტელის კომენტარებს გავეცნოთ, რომლებიც ძალიან გახარებულები არიან. ჯერ „სამპდორიას“ შემტევს მოვუსმინოთ:

*„სიმართლე გითხრათ, მჯეროდა, რომ პრანდელი რადიკალურად შეცვლიდა საკადრო პოლიტიკას და შანსს მეც მომცემდა. მჯერა, კოტ დივუარის წინააღმდეგ ვიასპარეზებ და ჩემს წვლილს შევიტან ახალი მთავარი მწვრთნელის დებიუტის გამარჯვებით აღნიშვნაში. მინდა ასეთი ფორმით გადავუხადო მადლობა იმ ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადა. მართალია, ჯერ საბოლოო განაცხადი ცნობილი არ არის, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აფრიკელებთან თამაში მომიწევს. ღრმად მწამს იმისაც, რომ პრანდელის ხელში ნაკრები დიდ წარმატებებს მიაღწევს“.*

ენთუზიაზმით არის აღსავსე მარიო ბალოტელიც: *„შესაძლოა, საბოლოო განაცხადში ჩემი ადგილი არ მოიძებნოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ თუნდაც გაფართოებულ სიაში მოვხვდი, უკვე დიდ სტიმულს მაძლევს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრანდელის თვალთახედვის არეში ვარ მოქცეული და შრომა აუცილებლად დამიფასდება. პიროვნულად ლიპის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მისი მწვრთნელობისას, მქონდა განცდა, რომ როგორც არ უნდა მეთამაშა, ნაკრებში არავინ გამომიძახებდა. მარჩელოს თავისი პრინციპები ჰქონდა, ჩეზარე კი დამსახურების მიხედვით შეარჩევს შემადგენლობას და იმას მიეცემა შანსი, ვინც კონკრეტულ მომენტში სხვებზე კარგად იქნება მომზადებული“.*

**ლაშა ნიკლაური**

ინციდენტი

# ანდერსონი გადარჩა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი **ანდერსონი** პორტუგალიაში ავარიაში მოხვდა. მაშველებმა მისი ამოყვანა მანქანის აფეთქებამდე მოასწრეს. როგორც იტყობინებიან ბრაზილიელის გარდა ავტომობილში მისი მეგობრები, ქალი და კაცი ისხდნენ. ავტოკატასტროფა კვირას დილით ქალაქ ბრაგას ებან ჟერესში მოხდა.

საჭესთან ანდერსონი არ მჯდარა - კაცი-მეგობარი იჯდა. მანქანა გახლდათ სპორტული აუდი R8, რომელიც გზიდან მოსრიალდა, კედელს მიენარცხა, გაფრინდა და დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით მინდორზე დავარდა. ფეხბურთელს გაუმართლა - როგორც მოგახსენეთ, გონებადაკარგული მანქანიდან დროულად გამოიყვანეს. თვითმხილველები ამბობენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ გადარჩენილი გონს მოეგო და მხსნელებს ლუღლუღით მადლობა გადაუხადა, სიკვდილს თქვენ გადამარჩინეთო. როგორც ირკვევა, ღამე 22 წლის ბრაზილიელმა ღამის კლუბ „სარდინია ბიბაში“ გაატარა, საიდანაც მეგობრებთან ერთად საფრანგეთში რეგისტრირებული, 156 ათას დოლარად ღირებული მანქანით წამოვიდა. ცნობისთვის: ამ მანქანას საათში 317 კილომეტრის განვითარება შეუძლია და (ათცილინდრიანი ძრავით) 0-დან 100 კილომეტრ საათამდე 3,9 წამში ჩქარდება.

სამივე დაზარალებული ბრაგას წმინდა მარკოზის სახელობის საავადმყოფოში მიიყვანეს, თუმცა მცირე კონტუზიის, შოკისა და ნაჟეჟების დამუშავების შემდეგ გამოწერეს. პორტუგალიური წყაროების თანახმად, „პორტუს“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ 2007 წელს 28 მილიონ დოლარად გადავიდა, ახლა მანჩესტერში ჩავა და მუხლის ტრავმას იმკურნალებს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა, რომლის სრული სახელია **ანდერსონ ლუიშ დი აბრეუ ოლივეირა**, მუხლის მყესის ტკივილის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშა. ანდერსონს მუხლის ტრავმა თებერვლის მერე სტანჯავს.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს სერ **ალექს ფერგიუსონს** ფეხბურთელის ავარიის ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინეს.

**ილია ბაბუნაშვილი**




ანდერსონის ინციდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოფენჰაიმი

# ბენ არფა სოფელში?

## მარსელი 7 მილიონ ევროს ითხოვს



გადავა ჰატემ ბენ არფა ბუნდესლიგაში?

ჩატარებული ტესტმატჩების შემდეგ „ჰოფენჰაიმის“ მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** დაასკვნა, რომ მის გუნდს თავდასხმაში გაძლიერება სჭირდება. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ „სოფლელებმა“ ფრანგ შემტევ ნახევარმცველს, **ჰატემ ბენ არფას** დაადგეს თვალი. 23 წლის ბენ არფას მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია, მარსელის „ოლიმპიკის“ საკუთრებაა და „ჰოფეს“ მისი გადაბირება დაახლოებით 7 მილიონი ევრო დაუჯდება. შესაძლებელია ისიც, რომ ჰოფენჰაიმელებმა ბენ არფა ინათხოვრონ და როგორც გაირკვა, ახალგაზრდა ფრანგით „შალკე“ და „შტუტგარტიც“ არიან დაინტერესებულები.

„ჰოფეს“ თავკაცი რანგნიკი კი არ მალავს, რომ ბენ არფას გადაბირება უნდა. *„ბენ არფა ჩვენთან რომ გადმოვიდეს, ეს ბუნდესლიგისთვის უდიდესი სენსაცია იქნება. ის ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია,“* - განუცხადა „პროფესორმა რალფმა“ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ალსანიშნავია, რომ „ჰოფენჰაიმის“ ხელმძღვანელებისთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში ნორვეგიული კლუბის, „ვალერენგას“ ფეხბურთელის, **მოჰამედ აბდელაუს** გვარიც ფიგურირებს. აი, ბერლინის „ჰერტას“ ფორვარდ **ადრიან რამოსთან** და ნიურნბერგელ ტალანტ **ილქაი გიუნდოგანთან** მოლაპარაკებები კი ჩიხში შევიდა.

რანგნიკის თმით, აუცილებელია, რომ „ჰოფემ“ მინიმუმ ორი-სამი ახალი ფეხბურთელი შეიძინოს. თუ გვინდა, რომ ერთი ადგილი არ დავტკეპნოთ და პროგრესის შანსი გვქონდეს, ეს გარდაუვალიაო, ამბობს „პროფესორი რალფი“.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ცეკვავენ ვან გაალის ბიჭები

## რეკორდმაისტერში შვებულებაგახანგრძლივებულებიც დაბრუნდნენ

გუშინ მიუნხენის „ბაიერნს“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პროცესში შვებულებაგახანგრძლივებული ფეხბურთელებიც შეუერთდნენ. მათი სია საკმაოდ გრძელია: **ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი, მიროსლავ კლოზე, მარიო გომესი, თომას მიულერი, ჰოლგერ ბადშტუბერი, იორგ ბუტი** და **ტონი კროოსი**. გერმანიის ნაკრების მოთამაშეების გარდა, რეკორდმაისტერში დაბრუნდნენ და სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგნენ ჰოლანდიელებიც - **მარკ ვან ბომელი, არიენ რობენი** და **ედსონ ბრააფჰეიდი**.

კაპიტანმა ვან ბომელმა ჟურნალისტებს წესიერად მისალმება არ აცალა და პირდაპირ აჯახა, შვებულების დროს, წონაში 300 გრამი მოვიმატეო, თუმცა იქვე დასძინა, რომ სამას გრამს 20 წუთში დაიკლებდა და ვარჯიშს ენერგიულად შეუდგა. „ბაიერნს“ ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი ორ კვირაში უწევს: **ლუის ვან გაალის** გუნდი 16 აგვისტოს გერმანიის თასის პირველ ეტაპზე მეხუთე ლიგის წარმომადგენელ „გერმანია ვინდეკს“ ეთამაშება.

*„მოსამზადებელი პერიოდი ხანგრძლივი არ გამოდის და მეც ვფიქრობ, რომ ეს პრობლემაა, მაგრამ იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდხანს ვიასპარეზეთ, დასვენება აშკარად გვჭირდებოდა. ახლა ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ და იმედი მაქვს, ფორმაში ძალიან მალე შევალთ,“* - უთხრა ვან ბომელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ვარჯიშის შემდეგ.

**ფილიპ ლამმა** კი აღიარა, რომ შვებულების დროს ჭამისა და ძილის მეტი არაფერი უკეთებია, მაგრამ პირობა დადო, რომ სეზონის სტარტს (ბუნდესლიგა 20 აგვისტოს იწყება) საუკეთესო ფორმაში მყოფი შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის პირველ ტურში „ბაიერნი“ „ვოლფსბურგს“ უნდა დაუპირისპირდეს.

**გოტფრიდ ლენცი**



ბაიერნი ახალი სეზონისთვის უკვე სრული შემადგენლობით ემზადება

ამბები

### კლასნიჩი ნანტს დაშორდა

ფრანგული „ნანტის“ ხორვატი თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** თავისუფალი აგენტი გახდა. 30 წლის კლასნიჩი, რომელიც ყველაზე კარგად ბრემენის „ვერდერში“ ასპარეზობიდან უნდა გვახსოვდეს, „ნანტის“ ღირსებას 2008 წლიდან მოყოლებული იცავდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 30 მატჩში 10 გოლი გაიტანა. ბოლოს იგი იჯარით ინგლისური „ბოლტონის“ ღირსებას იცავდა და მოსალოდნელია, რომ კარიერას იქვე გააგრძელებს.

### იოზილი გაისად გადავაო...

ამას ესპანური „ასი“ წერს. პოპულარული გამოცემა ირწმუნება, რომ ბრემენის „ვერდერისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** 2011 წლის ზაფხულში მადრიდის „რეალის“ პირველი შენაძენი იქნება. საქმე ისაა, რომ იმ დროისთვის იოზილს „ვერდერთან“ კონტრაქტი ამოწურული ექნება და კლუბს შეუფერხებლად შეიცვლის. „ასი“ იმასაც წერს, რომ გერმანელს სამეფო კლუბთან მომავალი ხელშეკრულების ყველა დეტალი უკვე შეთანხმებული აქვს.

### ფიგუ პრეზიდენტობისთვის იბრძვის

**ლუიშ ფიგუ** პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს და მხარდამჭერებიც მრავლად მოუგროვებია. 37 წლის ფიგუმ უკვე მოაგროვა იმ რაოდენობის ხელმოწერები, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იძლევა. შეგახსენებთ, პორტუგალიურ ფეხბურთს ამჟამად **ჟილბერტო მადაილი** ხელმძღვანელობს.

### ინტერი უპრობლემოდ გაჩემპიონდებაო...

...ასე ფიქრობს იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **რობერტო დონადონი**: *„ყველაფერი მარტივადაა, ჩემი აზრით, ამაზე დავაც კი არ შეიძლება. „ინტერი“ იტალიაში ყველას ერთი თავით ალემატება და ეჭვიც არ მეპარება, რომ მორიგ სკუდეტოს სერიოზული დაბრკოლებების გარეშე მოიპოვებს“*, აცხადებს დონადონი.

### რეალი ტევესში 40 მილიონს იხდის?

**ფლორენტინო პერესი** მზადაა, **კარლოს ტევესის** სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტის“ 40 მილიონი ევრო გადაუხადოს. „რეალში“ მიაჩნიათ, რომ ტევესი იდეალურ წყვილს შექმნის თანამემამულე ფორვარდ **გონსალო იგუაინთან**. ამას გარდა, „რეალმა“ უკვე შეიძინა კიდევ ერთი არგენტინელი **ანხელ დი მარია** და შესაძლოა, ტევესის დადებითი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდეს.

მისი მადრიდში წასვლის მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი კი ისაა, რომ ტევესს „სიტის“ იტალიელ თავკაც **რობერტო მანჩინისთან** არცთუ თბილი ურთიერთობა აკავშირებს.

### ოუენმა მწვრთნელობა გადაწყვიტა



„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი იმაზე საუბრობს, თუ რამ განაპირობა მისი ეს არჩევანი.

*„ორი წლის წინ ჩემთვის ვინმეს რომ ეკითხა, გინდა თუ არა მწვრთნელობაო, აუცილებლად უარყოფითად ვუპასუხებდი. ახლა კი 80 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ სწორედ ამ საქმეს მოვკიდებ ხელს. მწვრთნელობა მაშინ გადავწყვიტე, როცა „ნიუკასლში“ ყოფნისას ტრავმირებული ვიყავი და თამაშებს ტრიბუნიდან ვუყურებდი. სწორედ ასეთ დროს აანალიზებ ფეხბურთელთა მოქმედებას, ფიქრობ ტაქტიკაზე და ფეხბურთს სულ სხვა კუთხიდან ხედავ“*, - ამბობს მაიკლ ოუენი.

### მინისტრი ორის მოკვეთას ემხრობა

საფრანგეთის სპორტის მინისტრი **როსელინ ბაშელო** მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში **ფრანკ რიბერი** და **ქარიმ ბენზემა** არ უნდა გამოიძახონ. ამის მიზეზი ის სკანდალია, რომელშიც ეს ფეხბურთელები არიან გახვეულნი – საქმე ეხება მათ კავშირს არასრულწლოვან მეძავთან.

მინისტრმა ისიც დასძინა, რომ რიბერისა და ბენზემას უდანაშაულობაში დარწმუნებულია, მაგრამ მიაჩნია, რომ ძიების დასრულებამდე ისინი ნაკრებიდან მაინც უნდა მოიკვეთონ. კიდევ კარგი, ბაშოლოს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ნაკრების ახალი თავკაცის, **ლორან ბლანის** საქმეში ჩარევა არ სურს და ყველაფერი ამ უკანასკნელის გადასაწყვეტია.

### ლასანა მანიუს სურს

გამორიცხული არაა, **ლასანა დიარამ** კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გააგრძელოს. „რეალის“ ფრანგ საყრდენს გერმანელი **სამი ხედირას** შეძენის შემდეგ არ სჯერა, რომ **ჟოზე მოურინიო** მას სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ათამაშებს და თავად გამოთქვა წასვლის სურვილი.

**სერ ალექს ფერგიუსონს** კი დიარას თამაშის მანერა ძალიან მოსწონს და იგი პერმანენტულად ტრავმირებული **ოუენ ჰარგრივსის** იდეალურ შემცვლელად მიაჩნია.

„მანჩესტერის“ გარდა, დიარას გადაბირების სურვილი „მილანმა“, „იუვენტუსმა“ და „ნიუკასლმა“ გამოთქვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

სამი ხედირა

# მოურინიოს ძალიან ვუნდოდი!

## ხედირას სამეფო გუნდში თავისი კვალის დატოვება უნდა

სამი ხედირამ უნდა თქვას, 2010 ჩემი წელიწადიაო. „შტუტგარტისა“ და გერმანიის ნაკრების 23 წლის ფეხბურთელს ძალიან გაუმართლა: ჯერ იყო და მიხაელ ბალაკმა ტრავმა მიიღო, რის გამოც ხედირა გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშუალება მიეცა. მერე, მუნდიალზე ძალიან კარგად იასპარეზა და ის მადრიდის „რეალის“ თავკაცმა ჟოზე მოურინიომ შეამჩნია. დღეს კი ხედირა უკვე „რეალის“ ფეხბურთელია. „ველტში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან ჩანს, რომ ახალგაზრდა გერმანელს რეალელობა ცოტათი თავში აუვარდა, მაგრამ არა უშავს - „სამეფო გუნდს“ მწვრთნელად მოურინიო იმიტომაც დაუნიშნეს, რომ ასეთები აღარ დაუშვას...



სამი ხედირა ლეო მესის კიდევ გადაეყურება

**- ჰერ ხედირა, გერმანიის ნაკრებისგან განსხვავებით, პირადად თქვენთვის ზაფხული იდეალური გამოვიდა - ამიერიდან მადრიდის „რეალის“ ღირსებას დაიცავთ.**

- გულახდილად გეტყვით, ეს ამბავი არა მარტო მიხარია, არამედ ამაყიც კი ვარ იმის გამო, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა. მე არ ვფიქრობ, რომ გერმანიის ნაკრებს ცუდი ზაფხული ჰქონდა. ჩვენ გავანადგურეთ ინგლისი და არგენტინა, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავეთ, რაც ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი. ცხადია, ტიტულის მოგება გვსურდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა ასეთი ადვილი არ არის.

**- მაშინ ამ კითხვაზეც გულახდილად გვიპასუხეთ: რამდენად ხშირად ოცნებობდით იმაზე, რომ 23 წლის ასაკში „რეალთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გაგეფორმებინათ?**

- არა, 23 წლის ასაკში „რეალში“ გადასვლაზე ნამდვილად არ მიოცნებია, რადგან ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. მეტსაც გეტყვით: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც კი დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ მომდევნო სეზონს „შტუტგარტში“ გავატარებდი, მაგრამ ცხოვრება სიურპრიზებითაა აღსავსე. როცა დავრწმუნდი, რომ „რეალს“ ჩემი ყიდვა მართლა სერიოზულად უნდოდა, გაოცებისგან და სიხარულისგან შოკში ჩავვარდი.

**- ...და რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი არ გიფიქრიათ - ასე არ არის?**

- მთლად ასეც არ არის საქმე. თავიდან ბევრს ვფიქრობდი, რადგან არ ვიცოდი, იყო თუ არა ეს კარგი დრო იმისათვის, რომ გრანდში გადავსულიყავი, მაგრამ მერე ჟოზე მოურინიოს შევხვდი და მასთან საუბრის დროს, რამდენიმე წუთის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს შანსი აუცილებლად უნდა გამომეყენებინა. „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია, მოურინიო კი პლანეტის საუკეთესო მწვრთნელი, რომელსაც ძალიან ვჭირდები - ამაზე მეტი რა უნდა მდომოდა? მიმაჩნია, რომ სპორტული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მზად ვარ იმისათვის, რომ „რეალის“ ფეხბურთელი ვიყო. მოკლედ, მოურინიოსთან საუბრის შემდეგ ბევრი ნამდვილად აღარ მიფიქრია.

**- მაინც როგორ დაიწყო ყველაფერი? პლაჟზე ინექით, როცა ტელეფონმა დარეკა?**

- არა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მუნდიალის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც ესპანეთთან წავაგეთ, ჩემმა მრჩეველმა იორგ ნიბაუერმა დამირეკა და მითხრა, აქამდე გიმალავდი, რომ ყურადღება არ დაგფანტვოდა, ახლა კი გეტყვი, რომ მადრიდში გეპატიჟებიანო. ასე რომ, „რეალზე“ ფიქრი სწორედ მაშინ დავიწყე. სანამ ტუნისში დასასვენებლად წავიდოდი, მე და ჩემი მრჩეველი მადრიდში ჩავედით და მოურინიოს შევხვდით.

**- მოგვიყევით მოურინიოსთან საუბრის შესახებ.**

- სიმართლე გითხრათ, დიდხანს არ გვილაპარაკია. მოურინიომ რამდენიმე წინადადებითაც კარგად ამიხსნა, რატომ გააკეთა ჩემზე არჩევანი და რას მოითხოვდა ჩემგან, თუკი „რეალში“ გადავიდოდი. მაშინვე შევამჩნიე, რომ ჟოზეს ჩემი გადაბირება ძალიან უნდოდა. შესაბამისად, დიდხანს ფიქრი აღარ დამჭირდა იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიმეღო. ამას ისიც ემატება, რომ მე ძალიან მომწონს ის სტილი, რომლითაც მოურინიოს გუნდები თამაშობდნენ და რომლითაც „რეალი“ ითამაშებს. უკვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მოურინიოს სქემისთვის ზედგამოჭრილი ფეხბურთელი გახლავართ.

**- ამბობენ, მოურინიოს განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული აურა აქვსო...**

- ნამდვილად ასეა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ოთახში შემოსვლისთანავე გარკვეულ აურას ქმნიან. ჟოზე სწორედ ასეთი პიროვნებაა. ამასთან, ის გენიალური მწვრთნელია. მის ამჟამინდელ ან ყოფილ შეგირდებს რომ მოუსმინოთ, ყველა ამბობს, ჟოზე მოურინიო არის მწვრთნელი, რომელიც თავის ფეხბურთელებისთვის თავსაც გაწირავსო. ის ყველა შეგირდს მხარში უდგას და არავის მისცემს დაცემის უფლებას. ვფიქრობ, რომ ეს ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ მაქვს სასწავლი თუ გამოსაცდელი. მართალია, „შტუტგარტში“ უკვე ბევრი რამ გავაკეთე და გამოვცადე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი უნდა აკმაყოფილებდეს.

**- რა გითხრათ ჟოზემ თავისი მიზნების შესახებ?**

- მან პირველივე წინადადებით მიმახვედრა, რომ ტიტულების მოგება უნდა და თანაც, ყველა ტიტულის!

**- თქვენი კონკურენტები ჩაბი ალონსო, გაგო და დიარა იქნებიან. სათადარიგოთა სკამზე ჯდომის ხომ არ გეშინიათ?**

- ვიცი, რომ ბრწყინვალე კონკურენტები მყავს - თითოეულ მათგანს პატივს ვცემ, მაგრამ არც ერთის არ მეშინია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობამ თავდაჯერება შემმატა და ამიერიდან არავის და არაფრის მეშინია. მუნდიალზე ხომ ინგლისის, არგენტინისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებთან ვითამაშე. იმის თქმა მინდა, რომ შევამჩნიე, ნამდვილად შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. შესაბამისად, „რეალში“ გადასვლა აბსოლუტურად ლოგიკური და რაც მთავარია, წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს ჩემი შანსია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო. თუ კარგ ფორმაში ვიქნები და იმედია, რომ ასე იქნება, მოურინიო აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს. ისე, მოურინიო ჩემს ადგილს ჩაბი ალონსოს გვერდით ხედავს.

**- რას ნიშნავს ეს ნაბიჯი პირადად თქვენთვის?**

- სპორტული თვალსაზრისით ეს არის მსოფლიოს უმაღლესი კლასისკენ გადადგმული ნაბიჯი. მე ყოველთვის ვამბობდი, მინდა, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გავხდე-მეთქი და აი, შანსიც მომეცა. „შტუტგარტს“ უდიდეს პატივს ვცემ, რადგან ეს არის გუნდი, რომელმაც გამზარდა და ჩამომაყალიბა, მაგრამ ყველა დამეთანხმება, რომ „რეალი“ სულ სხვა კალიბრია. მადრიდულ გუნდში თითოეული ვარჯიშიც კი დაუნდობელი ბრძოლაა - ბრძოლა ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. შესაბამისად, მოდუნების საშუალება არ მომეცემა. სხვა მხრივ კი ფაქტია, რომ ესპანეთთან შეგუება მომიწევს - სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად ხომ პირველად მივდივარ. მინდა, რომ ესპანური ენა რაც შეიძლება, სწრაფად ვისწავლო. ეს ადაპტაციას გამიადვილებს.

**- თქვენ ისეთი ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელების გზას გაჰყევით, როგორებიც იყვნენ გიუნტერ ნეტცერი, პაულ ბრაიტნერი ან ბერნდ შუსტერი - სამივე „რეალში“ თამაშობდა.**

- ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „რეალში“ დიდი კვალი დავტოვო.

**- უკანასკნელ გერმანელს, კრისტოფ მეტცელდერს „რეალში“ არ გაუმართლა. მან რამე რჩევები ხომ არ მოგცათ?**

- აქ ყველა მეუბნება, მეტცელდერი ბრწყინვალე პიროვნებააო. სამწუხაროდ, დღემდე არ მომეცა იმის საშუალება, რომ კრისტოფს დაველაპარაკებოდი. სულელი უნდა ვიყო, მეტცელდერს რჩევები რომ არ ვკითხო.

**- როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს ტრანსფერზე გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს?**

- ჩემი „რეალში“ გადასვლის ამბავი პირველმა სწორედ ლიოვმა შეიტყო და ძალიან გაუხარდა. მითხრა, გენიალური შანსი გეძლევა და თავდაუზოგავად უნდა იშრომოო. გერმანელი ფეხბურთელები უცხოურ სუპერკლუბებში ყოველდღე ხომ არ გადადიან? უკანასკნელი, ვინც ასეთი ნაბიჯი გადადგა, მიხაელ ბალაკი იყო. ვფიქრობ, ჩემი ტრანსფერით მხოლოდ მე კი არა, გერმანული ფეხბურთიც იხეირებს, რადგან ჩემს გამოცდილებას გერმანიის ნაკრებს მოვახმარ.

**- ესპანეთი ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. რა აკლია გერმანიას იმისათვის, რომ 2012 წელს ესპანეთს ევროპის თასი წაართვას?**

- ახლა ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ესპანელებს გენიალური ფეხბურთელები ჰყავთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთმა გუნდური ფეხბურთი ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ არ ბრწყინავდა, ბოლოს მაინც ჩემპიონი გახდა. ჩვენ კი, მათგან განსხვავებით გამოცდილება გვაკლდა და იმედია, 2012 წელს ყველაფერი სხვანაირად იქნება.

**- მუნდიალზე იმის გამო იასპარეზეთ, რომ მიხაელ ბალაკმა ტრავმა მიიღო. ასე რომ არ მომხდარიყო, ალბათ სათადარიგოთა სკამის ხვედრი მოგიწევდათ და არც „რეალში“ გადახვიდოდით. ბალაკი გამოჯანმრთელდა...**

- ვფიქრობ, რომ მუნდიალზე ძალიან კარგად ვითამაშე, „რეალში“ გადასვლით კი უდიდესი ნაბიჯი გადავდგი იმისკენ, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გავხდე. შესაბამისად, გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილის დათმობას არ ვაპირებ. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკაში დავამტკიცე, რომ სასტარტოში თამაშის ღირსი ვარ. ცხადია, საბოლოოდ ყველაფერს ბუნდესმწვრთნელი წყვეტს, მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ლიოვს ჩემ გარდა სხვა ვარიანტი არ დაუტოვო.

ტრანსფერი

# კიდევ ერთი ესპანელი შალკეში

## მაგათმა ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების მარცხენა მცველი იყიდა

**რაულის** შემდეგ გელზენკირხენის „შალკე“ კიდევ ერთი ესპანელი ფეხბურთელით გაძლიერდა. გუშინ გადაწყდა, რომ „რეალ მურსიას“ ახალგაზრდა მარცხენა მცველი **სერხიო ესკუდერო** კარიერას **ლევან ყენიას** კლუბში გააგრძელებს. ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების მარცხენა მცველმა „ხუმარებთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა.

*„მიხარია, რომ „შალკეში“ გადასვლის საშუალება მომეცა. თანაც, გელზენკირხენში ჩემი ლეგენდარული თანამემამულე რაული მხვდება. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი,“* - განუცხადა ესკუდერომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ესკუდეროს შეძენა, რომელმაც კარიერა „ბეტისში“ დაიწყო და „მურსიაში“ 2008 წელს გადავიდა, ამსტერდამის „აიაქსს“, მოსკოვის „დინამოს“ და „ანდერლეხტსაც“ სურდათ.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**



სერხიო ესკუდერო

ჭიდაობა — ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი

# ყველაზე უმცროსი ევროპელები

დღეს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოს ოლიმპიურ სპორტკომპლექს „ზეტრაში" ევროპის ჩემპიონატი იწყება ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში, მწვრთნელ **თამაზ ბენდიანიშვილის** გადაწყვეტილებით, **ბესიკ ბოლქვაძე** (42), **ბექა ბუჯიაშვილი** (46), **ლევან ცალქალამანიძე** (50), **ლაშა ბითარაშვილი** (54), **დავით ბუზიაშვილი** (58), **ირაკლი მოსიძე** (63), **ლაშა გიგაშვილი** (69), **იაკობ პეტრიაშვილი** (76), **ლევან გოგრიჭიანი** (85) და **გენო პეტრიაშვილი** (100) იჭიდავებენ. ბერძენ-რომაელთა თავკაცმა **ვაჟა კრავეიშვილმა** არჩევანი შემდეგ ფალავნებზე შეაჩერა: **ედნარ შავაძე** (42), **მურთაზ ჩაბრავა** (46), **შმაგი ბოლქვაძე** (50) **ამირან შავაძე** (54), **რამაზ სურმანიძე** (58), **ფირუზ წულუკიძე** (63), **მათე ბერიძე** (69), **ლაშა გობაძე** (76), **რობერტ ქობლიაშვილი** (85), **იაკობ ქაჯაია** (100).

ჩემპიონატი დღეს „თავისუფალთა" ტურნირით დაიწყება და ჩვენებურთაგან ბოლქვაძე, ცალქალამანიძე, ბუზიაშვილი, გიგაშვილი და გოგრიჭიანი იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ გავლენ ხალიჩაზე. 5-6 აგვისტო გოგონათა ტურნირს დაეთმობა, 7-8-ში კი ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ. მათგან პირველ დღეს საჭიდაოდ შავაძე, ბოლქვაძე, სურმანიძე, ბერიძე და ქობლიაშვილი გავლენ.

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ შარშან სერბულ ზრენიანინში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებაში ჩვენმა „თავისუფლებმა" ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. ვერცხლის მფლობელები **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (63) და **ალექსანდრე ამინაშვილი** (76) გახდნენ, ბრინჯაოსი - **აკაკი მოწონელიძე** (50) და **ლევან კელეხაშვილი** (58). ბევრად უკეთ გამოვიდნენ ბერძენ-რომაელები - ერთი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონი ფირუზ წულუკიძე გახდა, ოღონდ 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში. შმაგი ბოლქვაძემ (42), **ლაშა დოლიძემ** (76), **დავით ჩაკვეტაძემ** (85) და **გიორგი ხაბაშვილმა** (100) ფინალები წააგეს. ამ კვარტეტიდან წლევანდელ გუნდში მხოლოდ ბოლქვაძეა, ოღონდ უკვე მძიმე წონაში - 50-ში გამოდის. ასევე გუნდშია ბრინჯაოს შარშანდელი პრიზიორი ამირან შავაძეც, ოღონდ ესეც ახალ წონაში - მაშინ 46-ში გამოდიოდა, ახლა კი 54-ში ჭიდაობს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# პირველად: ხუთი ქართველი 300-ეულში

ვაჟთა ჩოგბურთის (ატპ) რეიტინგი ახლა უფრო რეალურად ასახავს ქართული ჩოგბურთის დღევანდელობას - სიაში 1500-ზე მეტი პროფესიონალია და მათ შორის მხოლოდ ორია ქართველი. ბოლო ორმა კვირამ თითოქულიანი ქართველი ჩოგბურთელები დაფერთხა კლასიფიკაციიდან, ასეთი კი ოთხი ჩვენებური იყო, ამ კვარტეტს შარშან საქართველოში გამართულ „ფიუჩერსის სერიის" ორ ტურნირზე ჰქონდა მოპოვებული ქულა-ქულა. წლეულს კი, მოგეხსენებათ, ჩოგბურთის ფედერაციამ ტურნირების გამართვა ველარ შეძლო. ორი შემორჩენილიდან ერთი, 19 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** 2



ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 1378-ე პოზიციაზეა. ლაზარე ერთ დროს პერსპექტიულ ჩოგბურთელადაც მიგვაჩნდა, შარშან ამ დროს 837-ე პოზიციამდეც ამაღლდა, მაგრამ მერე პროგრესი შეწყვიტა. ლაზარეს რეიტინგში სექტემბერში ბრიტანეთში მოპოვებული ქულები შერჩა, ესენიც მოაკლდება და ისიც დაკარგავს ადგილს. 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 33 ქულით მსოფლიოს 631-ე ჩოგანია. მან ქულათა ყველაზე დიდი მარაგი (17) შარშან რუსეთში ტურნირის მოგებით მოიპოვა. ასე რომ, ისიც ახლოსაა მნიშვნელოვან დაქვეითებასთან. მოკლედ, ვაჟთა ჩოგბურთში ჩვენს მდგომარეობას კრიზისიც კი აღარ ეთქმის...

ვაჟებისგან განსხვავებული, შედარებით საიმედო მდგომარეობაა ქალთა ჩოგბურთში. ვტა-ს რეიტინგში 9 ქართველია და აქედან მხოლოდ ერთია კლასიფიკაციის სიმბოლური წევრი, დანარჩენები იბრძვიან, თამაშობენ, აქვთ გარკვეული წარმატებებიც... საქართველოს პირველი ჩოგანი ისევ 20 წლის **ანა ტატიშვილია**. ანა 428 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 148-ე ჩოგანია (-3). **ოქსანა კალაშნიკოვა** 308 ქულით 180-ე (-4) პოზიციაზეა, ხოლო **მაკა ჩახნაშვილი** 254 ქულით ისევ 212-ე ჩოგანია. პირველად მოხდა, რომ ქართველთა შორის მე-4 პოზიციაზე **თათია მიქაძეა** - ხარკოვის ტურნირის ტრიუმფატორმა ერთბაშად 60 ადგილით წაიწია და ის 170 ქულით მსოფლიოს 283-ე ჩოგანია. 7 საფეხურით დაქვეითდა **სოფიო შაფათავა**, რომელიც 158 ქულით 299-ე პოზიციაზეა. შაფათავა შემდეგ ორშაბათს დაიბრუნებს მე-4 პოზიციას, როცა ალმათის ტურნირის ფინალში გასვლისთვის კუთვნილი 34 ქულა დაერიცხება. ისტორიაში პირველად მოწინავე 300-ეულში ხუთი ქართველია. სხვები: 394 (+3) **სოფიო ქვაცაბაია** - 92 ქულა; 465 (-15) **მანანა შაფაქიძე** - 67; 551 (-2) **ეკა გორგოძე** - 50; 1035 (-9) **ანა ჯიქია** - 1.

ასტანაში დაიწყო 50-ათასიანი ტურნირი. საკვალიფიკაციო ბატალიებში ეკა გორგოძე ჩაება (მე-6 ნომრად განთესეს) და წარმატებითაც გავიდა ძირითად ბადეში. მე-2 წრეში (პირველში ეკა ისვენებდა) ქართველმა უკრაინელი **ნადია კოლბი** დაამარცხა - 6:3, 6:4. ფინალურ წრეში **ირაკლი ლაბაძის** შეგირდმა პირველ ნომრად განთესილ რუს **ევგენია პაშკოვას** (414) მოუგო - 2:6, 6:2, 6:2. მაშ ასე, ძირითად ბადეში ოთხი ჩვენებურია, აქედან მხოლოდ ოქსანა კალაშნიკოვაა განთესილი (მე-7 ნომერი). ოქსანა „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **დარია ბერეჟნაიას** შეხვდება. თათია მიქაძის მეტოქე რუსი **მარტა სიროტკინაა** (376), სოფიო შაფათავა ავსტრიელ **ნიკოლა ჰოფმანოვას** (191) შეხვდება, ეკა გორგოძის მეტოქე კი რუსი **დარია კუჩმინაა** (405). სხვათა შორის, თუ კალაშნიკოვა და შაფათავა პირველ წრეს დაძლევენ, მეოთხედფინალში ერთმანეთს ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სენაკის რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ვეტერანი მოჭიდავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ალეკო მურღულია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკი

WOMEN'S GRAND PRIX 29 JULY - 12 AUGUST 2010 MONGOLIA

# ჟაო სიუ დაწინაურდა

ფიდეს ქალთა გრან-პრის პირველი გათამაშების დამთავრებამდე ორი ეტაპი დარჩა. 9 ნოემბრისთვის შევიტყობთ, მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის რუს **ალექსანდრა კოსტენიუკს** ვინ შეხვდება. ოთხი ეტაპის შემდეგ, შეგახსენებთ, 390 ქულით (3 ტურნირის ჯამში) ერთპიროვნულად ქუთაისელი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე** მეწინავეობს. ჩვენებურს მძაფრ მეტოქეობას უწევენ ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, ორი ეტაპის ჯამით 290 ქულა), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 3-320), მსოფლიოს რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2-230), მსოფლიოს ჩემპიონი **სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 2-190). დანარჩენებს, მხოლოდ ფავორიტთა სრული ფიასკოს შემთხვევაში თუ გაეხსნებათ გზა სასურველი მიზნისკენ, რაც ნაკლებმოსალოდნელია. ყოველ შემთხვევაში, ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს მე-5 ეტაპი, რომელსაც მონღოლეთის დედაქალაქი მასპინძლობს. როგორც გაუწყეთ, ულანბატორში 12-მა მოჭადრაკემ მოიყარა თავი. ისინი წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს. უკვე მიიწურა ოთხი ტური. გაცნობებთ მათს შედეგებს:

**I ტური. ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2600)-**შენ იანი** (ჩინეთი, 2435) 1:0, **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2519)-**სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 2488) 0,5:0,5, **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 2235)-**ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2462) 0:1, **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2577)-**ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2562) 0,5:0,5, **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2476)-**ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2560) 0,5:0,5, **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო, 2514)-**ბათჰუიანგ მონგონთუული** (მონღოლეთი, 2421) 1:0.

**II ტური.** შენ იანი-მონგონთუული 0:1, სტეფანოვა-ჩიბურდანიძე 0,5:0,5, კოსინცევა-ჟუ ჩენი 1:0, ჟაო სიუ-ჰოუ იფანი 0,5:0,5, სიუ იუჰუა-ილდიზი 1:0, კონერუ-სებაგი 1:0.

**III ტური.** სებაგი-შენ იანი 0,5:0,5, ილდიზი-კონერუ 0,5:0,5, ჰოუ იფანი-სიუ იუჰუა 1:0, ჟუ ჩენი-ჟაო სიუ 0:1, ჩიბურდანიძე-კოსინცევა 0,5:0,5, მონგონთუული-სტეფანოვა 0:1.

**IV ტური.** შენ იანი-სტეფანოვა 0:1, კოსინცევა-მონგონთუული 1:0, ჟაო სიუ-ჩიბურდანიძე 1:0, ყაიმზე შეთანხმდნენ: სიუ იუჰუა-ჟუ ჩენი, კონერუ-ჰოუ იფანი, სებაგი-ილდიზი.

ტურნირის ჯერჯერობით ერთადერთი სენსაცია მესამე ტურში კონერუს დაზავება იყო საკმაოდ სუსტ ილდიზთან. გუშინ კი მაია ჩიბურდანიძემ მატერიალური უპირატესობაც კი მიიღო ჟაო სიუსთან პაექრობისას, მაგრამ მიტელშპილში შეცდა და დამარცხდა.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით ჟაო სიუ ლიდერობს. მომდევნო ადგილებზე მოდიან: კოსინცევა, კონერუ, სტეფანოვა — 3-3, ჰოუ იფანი — 2,5, სიუ იუჰუა, ჩიბურდანიძე — 2, სებაგი — 1,5, ჟუ ჩენი, ილდიზი, მონგონთუული — 1-1, შენ იანი — 0,5 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ილდიზი-შენ იანი, ჰოუ იფანი-სებაგი, ჟუ ჩენი-კონერუ, ჩიბურდანიძე-სიუ იუჰუა, მონგონთუული-ჟაო სიუ, სტეფანოვა-კოსინცევა.

# სათავეში ინდოელი მოექცა

ბერძნულ კავალაში გრძელდება მოჭადრაკეთა მე-19 საერთაშორისო ტურნირი ასამდე მოჭადრაკის მონაწილეობით. მთავარი პრიზისთვის მებრძოლთა შორისაა საქართველოს ოთხი წარმომადგენელი. სამი ტურის შემდეგ **ლუკა პაიჭაძეს, სალომე მელიას** და **დავით ჯოჯუას** 2-2 ქულა ჰქონდათ. გუშინ მე-4 ტურში პაიჭაძე ლუქსემბურგელ **ალბერტო დავიდს** დაუზავდა, სალომე მელია ამერიკელ **რობერტ ჰესთან** დამარცხდა, დავით ჯოჯუამ კი რუს **ჩალიკო ჩანცევს** სძლია. ჯავახიშვილი გუშინდლამდე ერთი ქულით გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებოდა. მე-4 ტურში კი ბერძენ **პანაგიოტის ხრისტოდულოს** მოუგო.

ტურნირზე ერთპიროვნულად ინდოელი **თეჯას ბაკრე** ლიდერობს, რომელმაც ზედიზედ ოთხ პარტიაში მიაღწია წარმატებას. გუშინ მან ბულგარელი **მომჩილ ნიკოლოვი** დაამარცხა.

**ვაჟა დანელია**



ზურაბ ჯავახაძე

# ამჯერად ვერცხლს დასჯერდა

ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ **ზურაბ ჯავახაძემ** წლეულს ევროპის სასკოლო პირველობაზე 17-წლიანებში ოქროს მედალი დაიმსახურა. ამჯერად მან თურქულ ქაისერში მსოფლიოს სასკოლო პირველობაზე მოსინჯა ძალები. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა - ოქროს მედალოსან თურქ **ბურაკ ფირატს** მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები თურქმენმა ძმებმა - **მაქსათ** და **იუსუფ ატაბაიევებმა** გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**



# სპორტის დედოფლის დედოფალი

სახელოვან ვეტერან მძლეოსანს, ქალბატონ **ლამარა ტულუშს** დღეს დაბადების 75 წელი უსრულდება. 1954 წლიდან მოყოლებული, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე კიევში ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში გოგონათა შორის სსრ კავშირის რეკორდებით ორგზის იზეიმა ჩემპიონობა, მისი სახელი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში ბადალი დიდხანს არც სპორტსაზოგადოება „დინამოს" სივრცეში ჰყავდა მთელ საბჭოთა კავშირში — ცხრაგზის დაიმსახურა უძლიერესის წოდება. 1959 წელს ხალხთა სპარტაკიადის, 1960 წელს კი სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოუტანა საქართველოს. 1958-1967 წლებში სტაბილურად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში, მათ შორის, სსრკ-აშშ-ის გიგანტთა მატჩში, სადაც მეორე პრიზიორი გახდა. სსრ კავშირის ხალხთა ექვს სპარტაკიადაში იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას. სპორტის საპატიო ოსტატმა შემდეგ შეგირდების აღზრდა დაიწყო და აქაც წარუშლელი კვალი დატოვა, რისთვისაც ჯერ დამსახურებული მწვრთნელის, შემდეგ კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა, გახდა ეროვნული კატეგორიის მსაჯი.

დაბადების საიუბილეო თარიღს გილოცავთ, ქალბატონო ლამარა!

**საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია**

R

## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაბადების დღეს ულოცავს ქართული სპორტის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს **მედეა (მზია) ჯუღელს** (ტანვარჯიში), **ქეთევან ლოსაბერიძეს** (მშვილდოსნობა) და მძლეოსანთა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებულს, პრიზიორს და რეკორდსმენს **ლამარა ტულუშს**.

■ ■ ■

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიურ ჩემპიონ ქალბატონებს **მედეა (მზია) ჯუღელს** (ტანვარჯიში, 1952) და **ქეთევან ლოსაბერიძეს** (მშვილდოსნობა, 1980).

პროფესიული კრივი

# მე-13 ნოკაუტი

საქართველოს საუკეთესო პროფესიონალმა მოკრივემ **ავთანდილ ხურციძემ** კარიერაში 22-ე ორთაბრძოლა მოიგო. შაბათს მინსკის „რეაქტორ კლუბის" რინგზე „ჩაქუჩა" მასპინძელ **სერგეი ხომიცკის** ხვდებოდა. მატჩამდე საშუალო წონის უნივერსალურ რეიტინგში ქართველი ოდნავ ჩამორჩებოდა ბელარუსს, მაგრამ მოგების შემდეგ წონაში მე-14 ადგილზე გადაინაცვლა, მეტოქე კი 54-ე პოზიციაზე მოისროლა. ხურციძისა და ხომიცკის შეხვედრა თავიდან 10-რაუნდიანად ჩაიფიქრეს, მაგრამ მე-6 რაუნიდს ბოლოს მეტოქემ ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლო. ხურციძემ 25 ბრძოლა გამართა პროფესიულ რინგზე, აქედან 22 მოიგო (13 ნოკაუტით), 2 ფრედ დაასრულა და 1 წააგო.

„რეაქტორ კლუბში" კიდევ სამმა ჩვენებურმა იკრივა, მაგრამ წარუმატებლად. **გიორგი ადუაშვილი** მასპინძელ **მაგომედ აზიფაჯიევთან** დამარცხდა. ქვემძიმე წონაში მოასპარეზე ადუაშვილმა ერთი რაუნდიც ვერ გაძლო. 28 წლის ქართველმა მოკრივემ 18-დან 10 ბრძოლა მოიგო, მაგრამ ათივე შინაურ რინგზე. **მიხეილ ხუციშვილი** მე-3 რაუნდში დაანოკაუტა მასპინძელმა **სერგეი რაბჩანკამ. გიორგი მჭედლიშვილმა** ქულებით წააგო 6-რაუნდიანი მატჩი ბელარუს **სერგეი გულიაკევიჩთან**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფრანგული ლეგიონის ბოლოსწინა რეპეტიცია


დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა. ქართველ მორაგბეთა კლუბები ახალი სეზონისთვის ინტენსიურ მზადებას განაგრძობენ. გასულ უქმეებზე ჩვენებურთა გუნდებმა მორიგი საწვრთნელი შეხვედრები გამართეს და, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანმა მოიგო.

სენსაციურად დასრულდა ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე **გურამ კავთიძის** „ლიონისა" და ფრანგული რაგბის გრანდის „სტად ფრანსეს" შეხვედრა. მეორედივიზიონელები მრისხანე მეტოქეს არ შეეპუენ და მინიმალური სხვაობით - 13:12 მოუგეს.

პარიზელებმა გაკადნიერებულ მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, რაზეც ლიონელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს, თუმცა ჩვენებურის გუნდმა მოწინააღმდეგის უდისციპლინობა კარგად გამოიყენა და ორი საჯარიმოც გაიტანა. კავთიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა", რომელიც მომავალ სეზონს საჩემპიონო ამბიციებით ხვდება, საკონტროლო მატჩი სავარაუდო კონკურენტთან პარიზულ „მეტრო რასინგთან" გამართა და დამაჯერებლად მოუგო - 39:10.

მართალია, ლელო არ გაუტანია, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა ქუბრიაშვილმა. „ქუბრიმ", როგორც მას თანაგუნდელები და „ტულონის" ერთგული ქომაგები ეძახიან, შერკინებაში მოწინააღმდეგეებს დიდი პრობლემები შეუქმნა, იმდენად, რომ მის წინააღმდეგ მხოლოდ წესების დარღვევით ახერხებდნენ თამაშს. ინგლისელ მგეზავ **ჯონი ვილკინსონს**, აბა სხვა რა უნდოდა - საჯარიმოების დარტყმებით გული იჯერა.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, როცა „ტულონს" საქმე, ფაქტობრივად, მოთავებული ჰქონდა.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ბრივში, სადაც **დავით ხინჩაგიშვილის** გუნდმა ელიტურ, პირველ დივიზიონში ალზევებულ **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" უმასპინძლა და 12:17 დამარცხდა. ქართველი მორაგბეები თამაშში მეორე ნახევრიდან ჩაერთნენ.

საფრანგეთის ჩემპიონმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა", რომელიც საწვრთნელ შეკრებაზე შვეიცარიაში, ჟენევის ტბის პირას, ქალაქ ნიონში იმყოფება, პირველი საკონტროლო შეხვედრა თანადივიზიონელ „ბურგუენთან" გამართა და 40:20 მოუგო.

კლერმონელებმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს და საპასუხოდ ორი მიიღეს. ზირაქაშვილმა, რომელიც სეზონს ბრწყინვალე ფორმაში ხვდება, სრულად ითამაშა.

ყველაზე „ქართულმა" ფრანგულმა კლუბმა, **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" პეზენასში ელიტური, მეორე დივიზიონის დებიუტანტ „კარკასონს" დიდი ანგარიშით - 56:17 მოუგო.

მონპელიელებისთვის თამაში კარგი ვარჯიში გამოდგა, მათ მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს. ქართველთაგან გორგოძემ, ჩხაიძემ, ჟღენტმა და შველიძემ ითამაშეს.

მორიგ შეხვედრას „მონპელიე" 4 აგვისტოს **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრთან" გამართავს. სამი დღის შემდეგ კი ბოლო საწვრთნელ მატჩში მეორედივიზიონელ „ორიაკს" დაუპირისპირდება.

„კასტრმა", თავის მხრივ, კიდევ ერთ მეორედივიზიონელს „პოს" უმასპინძლა და, მეტოქის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 33:28 მოუგო. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.


მარცხნივ მამუკა გორგოძე

### საკონტროლო მატჩები

ლიონი-სტად ფრანსე 13:12, ლა როშელი-ტულუზი 10:29, ბრივი-აჟენი 12:17, კლერმონი-ბურგუენი 40:20, ტულონი-მეტრო რასინგი 39:10, კასტრი-პო 33:28, მონპელიე-კარკასონი 56:17, პერპინიანი-ნარბონი 32:21.

რუმინეთის ჩემპიონატში მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. **ირაკლი ნატრიაშვილის, ბიძინა სამხარაძის, კახაბერ უჩავას, ოთარ ტურაშვილისა** და **ლაშა თავართქილაძის** „ფარული", რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, სტუმრად „ტიმიშოარას" ეთამაშა და 44:13 მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენებურთა გუნდმა სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით წაიწია და ახლა მესამე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა გუნდში პირველად ითამაშეს სამოელმა ახალწვეულებმა, რომლებსაც რუმინელები, სავარაუდოდ, გარუმინელებას უპირებენ. თუმცა ამას ისინი, IRB-ს წესდების თანახმად, მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლებენ.

„შავი ზღვის თასის" გათამაშებაში ქართული გუნდების მეტოქე „არადმა" სტუმრად წააგო რუმინეთის ჩემპიონ „ბაია მარესთან" - 13:54 და ახლა 27 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ამავე ტურნირის მონაწილე კიდევ ერთმა კლუბმა, „ბუქარესტმა", რომელიც უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა „ბარლადი" - 51:9. „ბუქარესტი" გასავარდნთა დავაში 33 ქულით პირველ ადგილზეა.

### რუმინეთი

#### პლეი ოფი

**ბაია მარე-არადი 54:13, სტიაუა-დინამო 32:25, ტიმიშოარა-ფარული 13:44**

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ბაია მარე - 59 ქულა, 2. სტიაუა - 57, 3. ფარული - 45, 4. დინამო - 43, 5. არადი - 27, 6. ტიმიშოარა - 23.**

#### პლეი აუტი

ბუქარესტი-ბარლადი 51:9, იაში-კლუჟი 17:14, შუკეავა-პეტროშანი 22:18.

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ბუქარესტი - 33 ქულა, 2. იაში - 22, 3. კლუჟი - 16, 4. პეტროშანი - 13, 5. ბარლადი - 10, 6. შუკეავა - 5.**

სამი ერი


მარკ ლივერმონი

# ლივერმონი აღფრთოვანებას ვერ მალავს

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** დაუფარავად გამოხატა თავისი აღტაცება სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში ახალი ზელანდიის ნაკრების მიერ ნაჩვენები თამაშის დონით.

ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან თქვა:

*„ასეთი შთამბეჭდავი გუნდი არასდროს მინახავს. ახალზელანდიელები გასაოცარ, ძალზე სწრაფ რაგბის თამაშობენ. რაც ყველაზე მთავარია, მეტოქეებიც მხარს უბამენ. ეს კი იმის ნიშანია, რომ სამი ერის ნაკრებებს სერიოზული პროგრესი აქვთ და მათთან კონკურენცია უძნელესი იქნება.*

*ეს, უწინარესად, რაგბის თამაშის წესებში ცვლილებების შედეგია. ფეხით თამაში მინიმუმამდე შემცირდა და მორაგბეები ამ ხერხს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ იყენებენ.*

*ახლა ნახეთ, „კივები" რა სწრაფად ათამაშებენ ბურთს, როგორ დროულად ასუფთავებენ რაკს, იმდენად სწრაფად, რომ შეტევა წამითაც არ ფერხდება. რასაც ვერაფრით ვიტყვით სამხრეთ აფრიკის ნაკრებზე. „ბოკეს" აშკარად სტაგნაცია აქვს. მსოფლიოს ჩემპიონები რაციონალური რაგბის მიმდევრები არიან. მათთვის სისწრაფეზე მეტი მნიშვნელობა ფიზიკურ ძალას აქვს. დიდი, მასიური აფრიკელები აქამდე ახერხებდნენ მეტოქის გასრესას, მაგრამ ახლა ეს ხერხი აღარ ჭრის.*

*ყველაზე მეტად რაც აღმაფრთოვანებს ახალზელანდიელთა თამაშში, ეს მათი მაღალტექნიკურობაა. ყველაფერი სწორედ აქედან იწყება, ამის ხარჯზე ახერხებენ სწრაფად ბურთის გათამაშებას და მეტოქისთვის თავგზის აბნევას.*

*ამ მიმართულებით საფრანგეთის ნაკრებს ძალიან ბევრი აქვს სამუშაო. ივნისის ტესტებმა გვიჩვენა, რომ ფიზიკური კონდიციების გარდა სამხრეთელებს ტექნიკაშიც ჩამოვრჩებით. ამიტომ „ლე ბლეში" სწორედ მათ უნდა მივცეთ თავის გამოჩენის შანსი, ვისაც სრულყოფილად შეუძლია ოვალურ ბურთთან ურთიერთობა. ამასთან, კარგად იციან დაცვაში, რაკსა და მოლში თამაში.*

*ერთი სიტყვით, თუ გვინდა, 2011 წლის მსოფლიო თასზე ახალ ზელანდიას ისევე ვაჯობოთ, როგორც 2007 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში, ყოველმხრივ სრულყოფილი გუნდი უნდა შევქმნათ".*

ლივერმონს იმის გარკვევა, რამდენად დიდია ფრანგთა გუნდის ჩამორჩენა სამი ერის ნაკრებებთან შედარებით, 27 ნოემბერს შეეძლება, როცა პარიზში, „სტად დე ფრანსზე" ავსტრალიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

# სამხრეთ აფრიკა ისევ თავისაზე დგას

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **პიტერ დე ფილიერსის** ასისტენტი **გარი გოლდი**, სამი ერის გათამაშებაში „ბოკეს" წარუმატებლობის ახსნას შეეცადა.

*„იმის თქმა, რომ სამი ერის სამ მატჩში „ბოკემ" კარგად ითამაშა, ცხადია, დიდი სისულელეა. მაგრამ საქმე არც ისე ტრაგიკულადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.*

*გუნდის მიერ განცდილ ზედიზედ სამ მარცხს ობიექტურთან ერთად სუბიექტური მიზეზებიც აქვს. თუმცა ახლა გამუდმებით ამაზე ლაპარაკი, წუწუნი კარგს არაფერს მოგვიტანს. ახლა მთავარია, ყველაფერი დავივიწყოთ და გუნდის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაუმჯობესებაზე ვიზრუნოთ.*

*ხშირად გვაკრიტიკებენ ჩვენი თამაშის სტილის გამო. ბურთის მუდმივად ფეხით დარტყმა და მიყოლა რა რაგბიაო. არადა, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ახალზელანდიელები თამაშის ამ ხერხს უფრო მეტად იყენებდნენ. განსხვავება ის იყო, რომ ისევე დროულად ველარ ვახერხებდით ხაზის ამოწევას და ბურთის ჩახურვას, როგორც შარშან. ეს კი მეტოქეს შეტევის მწყობრად წამოწყების საშუალებას აძლევდა. ეს ხარვეზი აღმოსაფხვრელი გვაქვს"* - თქვა მან.

გოლდმა სამხრეთაფრიკელთა მარცხის მიზეზის ახსნისას პიტერ დე ფილიერსის ვერსიას დაუჭირა მხარი.

*„თავად განსაჯეთ: ზე 14 -ის წლევანდელი გათამაშება სამხრეთაფრიკული გუნდების ბენეფისი იყო. ფინალში ჩვენი ორი გუნდი, „ბლუ ბულზი" და „ნატალ შარქსი" გავიდა. ანუ სამხრეთაფრიკელი მორაგბეები საუკეთესოები იყვნენ და საკმაოდ იოლად, დიდი უპირატესობით უგებდნენ დანარჩენებს. ახლა ამიხსენით, როგორ შეიძლება, რომ ამ ორი გუნდის მორაგბეებით დაკომპლექტებული ნაკრები სამი ერის გათამაშებაში ყველაზე სუსტი იყოს.*

*რაც შეეხება მსაჯობას. SANZAR-მა სამი ერის გათამაშების წინ 17 ავსტრალიელ, ახალზელანდიელ და სამხრეთაფრიკელ მსაჯს სპეციალური სემინარი ჩაუტარდა. გაუგებარია, ჩვენი მატჩები რატომ არ განსაჯა რომელიმე მათგანმა. „ბოკეს" ყველა შეხვედრა ჩრდილონახევარსფეროელებმა განსაჯეს, აი, ავსტრალია-ახალი ზელანდიის დაპირისპირების არბიტრი კი სამხრეთაფრიკელი იყო. რა, ამ ყველაფერში ცოტა რამ არის საეჭვო?"* - იკითხა გარი გოლდმა

# კივების და ვოლაბების დანაკლისი

სამი ერის მორიგი შეხვედრა 7 აგვისტოს ახალ ზელანდიაში, ქრაისთჩერჩში გაიმართება. ახალი ზელანდიის ნაკრები ავსტრალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მელბურნული დაპირისპირების შემდეგ ორივე გუნდმა დანაკლისი განიცადა.

ტრავმის გამო „კივებს" ცხრა ნომერი **ჯიმი ქოუანი** დააკლდებათ. მან „ვოლაბებთან" მატჩში ნეკნი გაიტეხა და, სავარაუდოდ, წლეულს სამი ერის გათამაშებაში ველარ გამოვა. მას ქრაისთჩერჩში, ცხადია, **პირი ვიპუ** შეცვლის. სათადარიგოებში კი **გრემ ჰენრი** ალბი **მეთიუსონს** დასვამს.

ავსტრალიის ნაკრები მელბურნში **რობ ჰორნს** მოისაკლისებს. საეჭვო იყო წითელი ბარათით გაძევებული **დრიუ მიტჩელის** თამაშიც. თუმცა SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტმა მას დისკვალიფიკაცია არ მისცა. მიიჩნია, რომ მატჩის ბოლომდე გაძევება მიტჩელისთვის საკმარისი სასჯელი იყო.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# ვიქტორიას ვიქტორია



ქალთა შორის ამერიკული სერიის პირველი ტურნირი ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** ტრიუმფით დასრულდა. სტენფორდის ფინალში მან შანსი არ დაუტოვა **მარია შარაპოვას** და დამსახურებულად მოიგო ამ სეზონში პირველი ტურნირი.

ფინალში ხვდებოდნენ ჩოგბურთელები, რომლებიც პროფესიულ ტურში ძველი პოზიციების დაბრუნებას ლამობენ. აზარენკას ჩაუვარდა სეზონის პირველი ნახევარი, თუმცა ზოგიერთი ჩოგბურთელი ასეთ „ჩავარდნაზე" მხოლოდ იოცნებებდა, მაგრამ ბელარუსი უფრო ამბიციური მოთამაშეა და ბუნებრივია, ორი დიდი ტურნირის - დუბაისა და ისტბურნის ფინალში გასვლა არ დააკმაყოფილებდა. წელს იყო აგრეთვე ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალი, სადაც ვიქტორიამ 6:4, 4:0-დან წააგო მატჩი **სერენა უილიამსთან**. რაც შეეხება მარიას, მას წელს „დიდი სლემის" ტურნირებზე ძალიან ცუდი შედეგები აქვს - რუსმა ყველაზე დიდ წარმატებას უიმბლდონზე მიაღწია, სადაც მერვედფინალამდე მიაღწია.

რაც შეეხება სტენფორდის ტურნირზე ფინალისტების თამაშს, შარაპოვა ძალიან ბევრს ცდებოდა, აზარენკა კი გაცილებით სუფთად თამაშობდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მარიასთვის დაემარცხებინა უმაღლესი დონის ჩოგბურთელები - თანამემამულე **ელენა დემენტიევა** და პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. იოლი გზა ფინალამდე არც ბელარუსს ჰქონია - აზარენკამ შარშანდელი ჩემპიონი, ფრანგი **მარიონ ბარტოლი** და ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** დაამარცხა.

ფინალის სტარტზევე მარიამ საკუთარ მოწოდებაზე რამდენიმე შეცდომა დაუშვა და აზარენკა ბრეიკით დაწინაურდა. შარაპოვას სიტუაციის გამოსწორების რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ბელარუსმა 0:30-დან გადაარჩინა თავისი გეიმი, თუმცა 2:1-ზე ცუდად ითამაშა და უპირატესობა დაკარგა. საერთოდ, საკუთარი მოწოდების ფაქტორი ამ ფინალში სუსტად მუშაობდა. შარაპოვას საპასუხო ბრეიკის შემდეგ, რუსის მოწოდებაზე გეიმი დროში ძალიან გაიწელა - მარიამ ორი გეიმბოლი ვერ გამოიყენა, სამი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ მეოთხე ჯერზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. შემდეგ გეიმში ვიქტორიას შეცდომის ჯერი დადგა და ამჯერად მან გააკეთა ორმაგი შეცდომა ბრეიკ-პოინტზე. საერთოდ, ორივე მხრიდან შეცდომები უფრო მეტი იყო, ვიდრე ლამაზი გათამაშებები. მაყურებელს შეიძლება ზედიზედ მეოთხე ბრეიკიც ეხილა, მაგრამ მარიამ ბრეიკ-პოინტი მოიგერია. სამაგიეროდ, აზარენკამ მეცხრე გეიმში მიაღწია სანადელს - რამდენიმე ძლიერმა დარტყმამ მიზანს მიაღწია და ბელარუსი სეტზე ჩასაწოდებლად მოემზადა. შარაპოვამ ერთი-ორი ბრწყინვალე დარტყმა შეასრულა და პარტიის გადარჩენაც შეეძლო, თუმცა ბრეიკ-პოინტამდე ვერ მიაღწია - 4:6.

მეორე პარტიაში ბრძოლა მხოლოდ დასაწყისში იყო. აზარენკამ თავიდანვე აიღო ბრეიკი, 1:2-ზე კი შარაპოვამ ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბელარუსს მოწოდება დაეხმარა. ამ გეიმის შემდეგ პრაქტიკულად ყველაფერი დასრულდა - მარიას ძალები გამოელია და დარჩენილ სამ გეიმში ვერც ერთი (!) ქულა ვერ აიღო.

აზარენკამ კარიერაში მეოთხე ტიტული მოიგო და WTA-ის რეიტინგში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა. მის მეზობლად იქნება შარაპოვა - მე-13 პოზიცია. ამ კვირას ბელარუსს სან დიეგოს ტურნირზე უნდა ეთამაშა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ განაცხადი გამოიტანა. ასევე პაუზის აღება გადაწყვიტა შარაპოვამ.

წყვილთა თანრიგში კი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. დიდ სპორტში დაბრუნებულმა ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** კარიერაში 38-ე ტიტული მოიგო წყვილთა თანრიგში. თანამემამულე **ლიზელ ჰუბერთან** დუეტში მან აზიური წყვილი - **ჩან იუანი** (ტაივანი) და **ჟიე ჟენგი** (ჩინეთი) დაამარცხა - 7:5, 6:7(8), 10:8.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-მარია შარაპოვა (რუს, 5) 6:4, 6:1.

**Istanbul Cup**

სტამბოლი (თურქეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 3)-ელენა ვესნინა (რუს) 5:7, 7:5, 6:4.

# მიურეის მოგება დაავიწყდა

მამაკაცებმა ამერიკული ტურნირების სერია ლოს ანჯელესში განაგრძეს. თავდაპირველად აქ მთავარი ვარსკვლავი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში სერბმა პირადი მიზეზებით თქვა უარი თამაშზე. ორგანიზატორებმა მსოფლიოს მეორე ჩოგანს შემცვლელი მოუნახეს - სპეციალური მიწვევა გაუგზავნეს **ენდი მიურეის**, რომლისთვისაც ეს პირველი ტურნირი იყო უიმბლდონის შემდეგ.

ბრიტანელმა პირველი მატჩი ვინმე **ტიმ სმიჩეკთან** ითამაშა. ენდიმ სრულიად უცნობ ამერიკელთან სენსაციურად წააგო მეორე სეტი, თუმცა შეხვედრის მოგება მაინც მოახერხა. ბრიტანელთა პირველი ნომრის შემდეგი მეტოქე კოლუმბიელი **ალეხანდრო ფალა** გახდა, რომელმაც მანამდე ლატვიელი **ერნესტ გულბისი** გამოთიშა ბრძოლას (ბოლო სეტის ტაი-ბრეიკი 10:8 დასრულდა). ბალტიისპირელისთვის ეს იყო პირველი ტურნირი ტრავმით გამოწვეული ორთვიანი შესვენების შემდეგ. ენდიმ ფალა ორ პარტიაში დაამარცხა. ნახევარფინალური მატჩი **ფელისიანო ლოპესთან** ქალთა ჩოგბურთს უფრო ჰგავდა - 6:0, 1:6, 6:4. მიურეი იანვრის შემდეგ პირველად გავიდა ფინალში - მაშინ ავსტრალიის ღია პირველობაზე მოიპოვა იმავე სტადიაზე თამაშის უფლება.

ბადის მეორე მხრიდან ფინალს US Open Series-2009-ის გამარჯვებულმა და ლოს ანჯელესის ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა **სემ კუერიმ** მიაღწია. ამერიკელი ყოველ მატჩში პატარა თრილერს სთავაზობდა მაყურებელს და სამ სეტზე ნაკლებს არც ერთ შეხვედრაში არ თამაშობდა. მაგალითად, მეოთხედფინალში **რაინერ შუტლერი** მატჩზე აწვდიდა და კუერიმ ბოლოს ტაი-ბრეიკზე მოიგო გადამწყვეტი სეტი. შემდეგ მატჩში **იანკო ტიპსარევიჩთან** კიდევ უფრო გაუჭირდა - წააგო პირველი სეტი, მეორე პარტიის ტაი-ბრეიკზე კი 1:5-ს აგებდა. ერთი მატჩბოლის მოგერიების შემდეგ, ამერიკელი ამჯერადაც მშრალი ამოვიდა წყლიდან.

კუერიმ არც ფინალში უღალატა ტრადიციას და მორიგი სამსეტიანი მატჩი შესთავაზა მაყურებელს. პირველ პარტიაში ბრიტანელი კარგად მოქმედებდა, მაგრამ შემდეგ მისი თამაში არასტაბილური გახდა. მიუხედავად ამისა, მიურეიმ პირველი სეტი მოიგო, მეორეში კი მეტოქის გეიმზე მატჩბოლი მიიღო. ხანგრძლივ გათამაშებაში კუერიმ საფრთხე მოიგერია, ტაი-ბრეიკში კი დამაჯერებელ უპირატესობას ფლობდა - 7:2. გადამწყვეტ სეტში ამერიკელმა კიდევ უფრო მოუმატა თამაშს და ტიტული შეინარჩუნა - 6:3. აქამდე ლოს ანჯელესში ზედიზედ ორჯერ **ანდრე აგასის** გაემარჯვა - 2000 და 2001 წლებში. სემისთვის ეს არის მეექვსე ტიტული კარიერაში, თანაც ოთხ გამარჯვებას მან წელს მიაღწია, მიურეის კი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, 2010 წელს ტურნირი არ მოუგია.

ლოს ანჯელესში წყვილთა თანრიგი ტყუპმა ძმებმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** მოიგეს და ATP-ის აბსოლუტური რეკორდის მფლობელები გახდნენ. ეს იყო ამერიკელთა 62-ე ტრიუმფი პროფესიულ დონეზე. წინა რეკორდი ლეგენდარულ ავსტრალიელებს - **ტოდ ვუდბრიჯსა** და **მარკ ვუდფორდს** ეკუთვნოდათ, რომლებმაც კარიერაში 61 ტიტული მიითვალეს.

■ ■ ■

ამერიკის კონტინენტზე გასამართ მასტერსებამდე ორი კვირა დარჩა, მანამდე კი ზოგიერთმა ევროპელმა ჩოგბურთელმა ხორვატული უმაგისა და შვეიცარიული გშტაადის გრუნტზე თამაში გადაწყვიტა.

გშტაადში პირველ ნომრად რუსი **მიხაილ იუჟნი** იყო განთესილი, რომლისთვისაც მეოთხედფინალი აღმოჩნდა გადაულახავი ბარიერი - ის ტურნირიდან ყაზახეთის წარმომადგენელმა **იური შჩუკინმა** გამოთიშა - 4:6, 6:2, 5:7. შჩუკინი ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა და 31 წლის ასაკში პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში, თუმცა იქ ფრანგ **რიშარ გასკესთან** წააგო.

გასკე სეზონში მესამე ფინალს თამაშობდა. მისი მეტოქე გადამწყვეტ მატჩში **ნიკოლას ალმაგრო** იყო. ესპანელმა ორი კვირის წინ ბაშტადის ფინალში ითამაშა და მთავარი პრიზი მოიპოვა. ამჯერადაც გამარჯვებული ალმაგრო გამოვიდა - 7:5, 6:1, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასკე ამ მატჩისთვის ფიზიკურად არ იყო მომზადებული.

უმაგის ტურნირის პირველი ნომერიც რუსი იყო - **ნიკოლაი დავიდენკო** და ამჯერადაც მან სუსტი მომზადება აჩვენა. უკვე მეორე წრეში რუსმა პირწმინდად დათმო შეხვედრა **ხუან-იგნასიო ჩელასთან** - 2:6, 1:6. სხვათა შორის, ეს იყო მათი მეშვიდე შეხვედრა და არგენტინელმა მეექვსედ მოუგო რუსს.



ჩელამ თავის მხრივ, ნახევარფინალი დათმო **პოტიტო სტარაჩესთან**. იტალიელი ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად გავიდა ATP-ის ფინალში, მაგრამ ისევე როგორც წინა ორ შემთხვევაში, ამჯერადაც დამარცხებულმა დატოვა კორტი. ესპანელ **ხუან-კარლოს ფერეროს** უმაგში მხოლოდ ერთ მატჩში შეექმნა პრობლემები, როცა **პაბლო კუევასის** წინააღმდეგ თამაშობდა. ურუგვაელი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც როლან გაროსის ყოფილ ჩემპიონს სეტი აართვა, დანარჩენ შემთხვევებში კი ესპანელმა იოლ გამარჯვებებს მიაღწია.

**ATP**

**Farmers Classic**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 619 500 დოლარი

**ფინალი**

სემ კუერი (აშშ, 2)-ენდი მიურეი (ბრიტ, 1) 5:7, 7:6(2), 6:3.

**Croatia Open**

უმაგი (ხორვატია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 580 000 დოლარი

**ფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:4.

**Suisse Open**

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 580 000 დოლარი

**ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 2)**-რიშარ გასკე (საფ, 7) 7:5 6:1.

მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

# ლემეტრის ტრიუმფი ბარსელონაში

ევროპული სპრინტის ახალი მეფის, ფრანგი **კრისტოფ ლემეტრის** ტრიუმფით დასრულდა კონტინენტის პირველობა ბარსელონაში. 100 და 200 მეტრზე გამარჯვების შემდეგ, ფრანგმა სპრინტერმა მესამე ოქრო 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა. თითქოს ფრანგების ოთხეულს იოლი გამარჯვება ელოდა, რადგან მისმა ძირითადმა კონკურენტმა - ბრიტანეთის ნაკრებმა კვალიფიკაცია ვერ გაიარა. მაგრამ ფინალში მოულოდნელად კარგად გამოვიდა იტალიის ნაკრები, რომელიც ბოლო მეტრამდე ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ უკანასკნელ წამს იყოჩაღა ფრანგმა **მბანჯოკმა**, ვინც 6 მეასედი წამის უპირატესობა მოუტანა საფრანგეთის ნაკრებს. დანარჩენ გუნდებს ფავორიტის შეჩერების შანსი არ ჰქონია. 20 წლის ლემეტრმა სამი ოქროთი დატოვა ბარსელონა. ეს ის სპრინტერია, რომელმაც ცოტა ხნის წინ, საფრანგეთის პირველობაზე 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა და პირველი თეთრკანიანი ათლეტი გახდა, ვინც ასეთი შედეგი დააფიქსირა. საინტერესო იქნება მისი დუელი მსოფლიოს წამყვან ათლეტებთან - **უსაინ ბოლტთან, ტაისონ გაისა** და **ასაფა პაუელთან**, თუმცა ფრანგის შედეგებიდან გამომდინარე, მას გაუჭირდება ამ დიდ სამეულთან ბრძოლა.

ქალთა ანალოგიურ დისციპლინაში მედლები სამმა ნაკრებმა გაითამაშა - უკრაინამ, საფრანგეთმა და პოლონეთმა. სწორედ ამ თანმიმდევრობით მივიდნენ ისინი ფინიშთან. პრაქტიკულად თანაბარ ბრძოლაში უკრაინელმა **ელიზავეტა ბრიზგინამ** ბოლო მომენტში გამოსტაცა გამარჯვება ლეგენდარულ **კრისტინ არონსა** და **ვერონიკა ვეიდლერს**.

საინტერესო სამი ფინალი გაიმართა ტექნიკურ სახეობებში, რაც მთავარია, გამარჯვებულებმა მაღალი შედეგები აჩვენეს. ყველაზე მეტად გაგვაკვირვა გერმანელმა სიგრძეზე მხტომელმა **კრისტიან რაიფმა**. მესამე ცდაზე მან სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა - 8,47 მეტრი, რითაც 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა პირადი რეკორდი. ასე შორს წელს **დუაიტ ფილიპსიც** არ გადამხტარა.

ბადროს ტყორცნაში პოლონელმა **პიოტრ მალახოვსკიმ** სულ რაღაც 40 სანტიმეტრით აჯობა გერმანელ **რობერტ ჰარტინგს**. ამჯერად, პოდიუმის მილმა აღმოჩნდნენ ოლიმპიური ჩემპიონები - **გერდ კანტერი** და **ვირგილიუს ალეკნა**.

კიდევ ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს მოეცარა ხელი ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში. ბელგიელმა **ტია ელებომ** ვერ დაძლია 197 სანტიმეტრი სიმაღლე და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. მეორე ადგილისთვის ბრძოლაში შვედმა **ემა გრინმა** და გერმანელმა **არიან ფრიდრიხმა** ერთნაირი შედეგი აჩვენეს - 2.01 მეტრი, მაგრამ ცდების რაოდენობით უკეთესი მდგომარეობა სკანდინაველს ჰქონდა. გამარჯვება კი ხორვატმა ლამაზმანმა **ბლანკა ვლასიჩმა** მოიპოვა. იმ დღეს მხოლოდ მან დაძლია 2.03 მეტრზე გადებული თამასა, რითაც დამსახურებულად მიიღო ოქროს მედალი და კარიერაში ევროპის ჩემპიონის პირველი ტიტული.

**კაცები**

**მარათონი.** 1. ვიქტორ რიოტლინი (შვეიც) - 2:15.31; 2. ხოსე მანუელ მარტინესი (ესპ) - +2.19; 3. დმიტრი საფრონოვი (რუს) - +2.45... **ესტაფეტა 4x100 მ.** 1. საფრანგეთი - 38,11; 2. იტალია - 38,17; 3. გერმანია - 38,44... **ესტაფეტა 4x400 მ.** 1. რუსეთი - 3.02,14; 2. ბრიტანეთი - 3.02,25; 3. ბელგია - 3.02,60; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. მაიდინ მეკისი-ბენაბადი (საფ) - 8.07,87; 2. ბობადელაჰ ტარი (საფ) - 8.09,28; 3. ხოსე ლუის ბლანკო (ესპ) - 8.19,15... **სიგრძეზე ხტომა.** 1. კრისტიან რაიფი (გერ) - 8,47; 2. კაფეტიენ გომისი (საფ) - 8,24; 3. კრის ტომლინსონი (ბრიტ) - 8,23... **ბადროს ტყორცნა.** 1. პიოტრ მალახოვსკი (პოლ) - 68,87; 2. რობერტ ჰარტინგი (გერ) - 68,47; 3. რობერტ ფაზეკაში (უნგ) - 6,53...

**ქალები**

**ესტაფეტა 4x100 მ.** 1. უკრაინა - 42,29; 2. საფრანგეთი - 42,45; 3. პოლონეთი - 42,68... **ესტაფეტა 4x400 მ.** 1. რუსეთი - 3.21,26; 2. გერმანია - 3.24,07; 3. ბრიტანეთი - 3.24,32... **5000 მ.** 1. ალემიტუ ბეკელე (თურ) - 14.52,20; 2. ელვან აბეილეგესე (თურ) - 14.54,44; 3. სარა მორეირა (პორ) - 14.54,71... **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,03; 2. ემა გრინი (შვედ) - 2,01; 3. არიან ფრიდრიხი (გერ) - 2,01...

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | 6 | 8 | 24 |
| 2. საფრანგეთი | 8 | 6 | 4 | 18 |
| 3. ბრიტანეთი | 6 | 7 | 6 | 19 |
| 4. გერმანია | 4 | 5 | 6 | 15 |
| 5. თურქეთი | 3 | 1 | 0 | 4 |
| 6. ესპანეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| 7. უკრაინა | 2 | 3 | 1 | 6 |
| 8. პოლონეთი | 2 | 2 | 5 | 9 |
| 9. ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 10. ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დიადი სნაიპერის ტრაგედია

NBA-ის თავისუფალი აგენტების ბაზარზე სამი სუპერვარსკვლავი დარჩა, ოღონდ ყოფილი. ესენია: **შაკილ ო'ნილი**, **ალენ აივერსონი** და რაც ყველაზე უცნაურია, **ტრეისი მაკგრეიდი**. თუ შაკსა და ალენს მართლაც დაუდგათ დამსახურებული პენსიის დრო, ტი-მაკის უმუშევრობა გაუგებარი და დასანანია. ტრეისის მდგომარეობა მართლაც სიბრალულს იწვევს. დიადი მოთამაშე, ერთ-ერთი უნიჭიერესი სნაიპერი და ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მომენტის ავტორი, 31 წლის ასაკში სრულიად აბსურდულ სიტუაციაში აღმოჩნდა. როცა ვიხსენებთ იმ ჯადოსნურ 33 წამს „ჰიუსტონისა" და „სან ანტონიოს" შეხვედრაში (2003-04 წლების სეზონი), უნებლიედ იბადება კითხვა: საერთოდ რა ხდება თანამედროვე კალათბურთში? როგორი დეგრადაცია განიცადა 3-4 წელიწადში კალათბურთელმა, რომელმაც NBA-ის მოქმედი ჩემპიონის ფარში ნახევარ წუთში 13 (!) ქულა ჩააგდო და საშუალოდ მატჩში 30 ქულას აგროვებდა?

რა თქმა უნდა, თავისი როლი ტრავმებმაც ითამაშეს. მუხლის დაზიანება და უმწეობის გრძნობა ნებისმიერ სპორტსმენს მოუკლავდა ბრძოლის სურვილს. არც მაკგრეიდი ყოფილა გამონაკლისი. ექიმებთან წელიწადნახევრიანი „პაემნებისა" და „როკეტსის" მენეჯმენტთან კონფლიქტის შემდეგ, რეგულარულის შუაში დაბრუნებულმა ტი-მაკმა ძველი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ აჩვენა. ეს გასაგებია. „ნიუ იორკი", სადაც მაკგრეიდი მასშტაბური ტრეიდის შემდეგ მოხვდა, გრანდიოზული გარდაქმნების პროცესში იყო, ამიტომაც სათამაშო ასპექტები მეორე პლანზე გადავიდა. „ნიქსმა" ჩაამთავრა ჩემპიონატი, ტი-მაკი თავისუფალი აგენტი გახდა და იმედი ჰქონდა, რომ მისი პიროვნებით ბევრი კლუბი დაინტერესდებოდა. დიახ, მან დაკარგა ძველი სისწრაფე, ნახტომი და აგრესიულობა, მაგრამ ზუსტი სროლა და კალათბურთის ალქმა არ გამქრალა. გარდა ამისა, მცველი განსაკუთრებულად მაღალ ხელფასს არც ითხოვდა. ეს არაფერში სჭირდება. მაკგრეიდიმ ათობით მილიონი გამოიმუშავა „ორლანდოსა" და „ჰიუსტონში" თამაშისას. მას უბრალოდ თამაში უნდა, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია. მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ჯერ ვერ მოახერხა. თითქმის ყველა კლუბს შორს იჭერს თავს ტრეისისგან, ევროპულმა გრანდებმა კი ეკონომიკური კრიზისი გადაიტანეს და არც უფიქრიათ ასეთი მასშტაბის ვარსკვლავის გადაბირება.

იქნებ შექმნილ სიტუაციაში თავად კალათბურთელია დამნაშავე? ბოლო დროს, მაკგრეიდიზე პოტენციურ პრეტენდენტთა რიცხვი ორ კლუბამდე შემცირდა - „ჩიკაგო" და „კლიპერსი". „ხარები" მინიმუმ NBA-ის ფინალში გასვლაზე აცხადებენ რეალურ პრეტენზიას. მათ ამ ზაფხულში მოასწრეს ორი მცველის - **კაილ კორვერისა** და **რონი ბრიუერის** შეძენა. ესენი საინტერესო და საიმედო მცველები არიან, მაგრამ ვარსკვლავთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან. ასე რომ, „ჩიკაგოს" რეალური შესაძლებლობა აქვს გაძლიერდეს კალათბურთელით, რომელიც ორჯერ იყო რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი. რატომ არ უნდა გამოიყენოს გუნდმა ასეთი შანსი? საქმე ისაა, რომ ახალ მწვრთნელ **ტომ ტიბოდოს** მაკგრეიდი როტაციის მერვე ან მეცხრე ნომრად წარმოუდგენია, რომელიც საშუალოდ 10-15 წუთ სათამაშო დროს მიიღებს. თავად ტი-მაკი რაღაც მომენტში მზად იყო დათმობებზე, მაგრამ შემდეგ ხასიათი გამოავლინა და მკაცრი განცხადებით გამოვიდა: *„სათადარიგო მოთამაშის როლი - პრობლემა არ არის. მაგრამ ეს ის არაა, რაც მე მინდა. ეს შემოთავაზება ნახევარი წლის წინ რომ მიმეღო, როცა ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ ვიყავი, მაშინ იოლად დავთანხმდებოდი. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვიმუშავე იმისთვის, რომ ფორმა აღმედგინა. უბრალოდ, უნდა დამიჯერონ მწვრთნელებმა - მიმიწვიონ საწვრთნელ ბანაკში და დავამტკიცებ, რომ სასტარტოში მოხვედრის ღირსი ვარ".*

„ჩიკაგოს" კი დაჯერება არ უნდა. და არც რისკზე წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანი **კურტ ტომასი** და გუნდის ლიდერი **დერიკ როუზი** სახელგანთქმული კოლეგის შეძენას მხარს უჭერენ. თუმცა ასეთი დონის კალათბურთელის შეძენის ცდუნებაც დიდია. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის მართლაც მზად არის ხანგრძლივი სეზონისთვის როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად. მაგრამ პროფესიულ კალათბურთში სიტყვაზე ერთმანეთს იშვიათად ენდობიან. ძნელი დასაჯერებელია იმ კალათბურთელის სიტყვები, რომელსაც ბოლო სამი წელია არაფერი უჩვენებია. ამიტომაც „ბულზი" მაკგრეიდის მხოლოდ არაგარანტირებულ კონტრაქტს სთავაზობს. ასეთ შემთხვევაში კლუბს ნებისმიერ მომენტში შეუძლია უპრობლემოდ გაუშვას მცველი და ზიანი არ მიაყენოს არც გუნდს და არც ბიუჯეტს.

რაც შეეხება „კლიპერსს", აქ კიდევ უფრო გაურკვეველი სიტუაციაა. მაკგრეიდი კალიფორნიაში გასინჯვაზე ჩავიდა და გუნდის გენერალური მენეჯერის **ნილ ოლშის** ქებაც დაიმსახურა. ამიტომაც გაუგებარია, რატომ არ აწერენ მაკგრეიდისთან კონტრაქტს ხელს კალიფორნიელები. „კლიპერსი" საშინელ მდგომარეობაში იმყოფება და მისთვის სულერთია - ერთი კაპრიზული ვარსკვლავით მეტი ეყოლება თუ ნაკლები. თანაც არავინ ამბობს, რომ ტი-მაკი აუცილებლად წაეჩხუბება პარტნიორებს და ხელმძღვანელობას, არავის მისცემს ბურთს და გამოტოვებს ვარჯიშებს. იქნებ ღირდეს გარისკვა? ამ ზაფხულს „კლიპერსმა" პერიმეტრის გასაძლიერებლად საშუალო დონის **რაიან გომესი** და **რენდი ფოიე** შეიძინა და **რასუალ ბატლერი** შეინარჩუნა. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ მოთამაშეებმა შესამჩნევად აამაღლონ გუნდის შედეგიანობა. მაკგრეიდის კი შეუძლია ამ ამოცანას გაართვას თავი. რა თქმა უნდა, დაცვა მას ნაკლებად გამოსდის და კარიერის განმავლობაში სამქულიანებს მხოლოდ 33.7 პროცენტის სიზუსტით ისროდა, მაგრამ ახალ მწვრთნელ **ვინი დელ ნეგროს** შეუძლია ის სათადარიგო გამთამაშებლის როლში გამოიყენოს.



მაკგრეიდის შეძენის სურვილი შეიძლება გამოთქვას „კლივლენდმა". ამ გუნდმა ივლისში ბევრი დარტყმა მიიღო - **ლებრონ ჯეიმსის** წასვლა, „ჰიუსტონიდან" **კაილ ლოურის** უშედეგო ტრანსფერი, **მეტ ბარნსთან** ჩაშლილი მოლაპარაკებები... ამასობაში, მწვრთნელ **ბაირონ სკოტს** უკანა ხაზზე ხარისხიანი შემსრულებლები სჭირდება, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავზე ლიდერის ფუნქციების აღება. ტი-მაკი ამ როლისთვის გამოდგება. „კლივლენდში" მას მისცემენ ადგილს სასტარტო ხუთეულში, თანაც ვეტერანი მცველი გაუიოლებს გულშემატკივრებს ლებრონის წასვლით გამოწვეულ ტკივილს.

არ უნდა ჩამოვწეროთ „ბოსტონი", „შარლოტი", „ნიუ ორლეანი" და „ლეიკერსიც" კი. მიუხედავად ამისა, მაკგრეიდის ისტორია უკვე რაღაცით ჰგავს აივერსონისას. გასული სეზონის წინ დიადი ალენი ასევე ამბობდა პრესაში, რომ მზად იყო კალათბურთში დასაბრუნებლად ვარსკვლავური სტატუსისთვის უარი ეთქვა. ამის ნაცვლად, აივერსონი „მემფისის" მაისურით სამჯერ გავიდა მოედანზე, რის შემდეგაც კონტრაქტის გაწყვეტას მიაღწია, „ფილადელფიაში" დაბრუნდა და მშობლიურ პარკეტს ეამბორა. ყოფილ კლუბში ორი თვე გაძლო და წავიდა. კარგია, თუ მაკგრეიდის იგივე არ დაემართება.

## როდმანი სიკვდილს გადაურჩა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხუთგზის ჩემპიონი **დენის როდმანი** ავტოავარიაში მოხვდა: ყოფილი ვარსკვლავის ჯიპს საბურავი გაუსკდა და სამხრეთ ფლორიდის სახელმწიფო ტრასაზე ამოტრიალდა.

„საბედნიეროდ, ის უვნებლად გადარჩა. ტელეფონით მითხრა: *„ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ასე ადვილად ვერ მომიშორებენ"*, - განაცხადა კალათბურთელის აგენტმა **დარენ პრინსმა**. - მას მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი აქვს თითზე".

ამ ინციდენტის გამო როდმანისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.



## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ტიროლი-მიუნხენი | 0:3 |
| რიდი-ჰერტა | 1:3 |
| კიდერმინსტერი-ქრიუ | 4:0 |
| სტ. ჯონსტონი-ბოლტონი | 0:2 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-ოდენსე | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტარტი | 8:1 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-ერებრო | 0:2 |
| ბრომაპიოკარნა-ჰელსინგბორგი | 1:3 |
| ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| იარო-ჰაკა | 5:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადმირა-აუსტრია (ლ) | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვილი-ლოზანა | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პრშიბრამი-სიგმა | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| ტომი-სიბირი | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-სკა ენერგია | 0:0 |
| მორდოვია-ირტიში | 2:1 |
| როტორი-კამაზ | 1:0 |
| სალიუტი-ყუბანი | 1:2 |
| ჟემჩუჟინა-დინამო (ს-პ) | 3:1 |
| გაზპრომი-ვოლგა | 1:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ურალი | 1:0 |
| ავანგარდი-ხიმკი | 0:1 |
| დინამო (ბრ)-შინიკი | 0:1 |
| კრასნოდარი-ბალტიკა | 3:1 |
| **სლოვენია** | |
| ოლიმპია-ნაფტა | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| კლუჟი-ვიქტორია | 2:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-აკადემიკი | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევრობასკეტი 2011** | |
| უკრაინა-მაკედონია | 58:71 |
| უნგრეთი-ბრიტანეთი | 82:91 |
| იტალია-ისრაელი | 71:79 |
| ჩერნოგორია-ლატვია | 96:66 |
| პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| გორჯესი-ფოგელი | 6:2, 6:4 |
| ზაკოპალ.-დე ლოს რიოსი | 6:3, 6:7, 6:0 |
| კერბერი-ვორაკოვა | 6:1, 6:1 |
| ნა ლი-პლიშკოვა | 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**3 აგვისტო. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ინტერი.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-იუვენტუსი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
**14:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-ლიონი.
**16:10** ახალი ამბები.
**16:30** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვალენსია-ატლეტიკო.
**18:20** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:25** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
**20:15** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კიევო.
**22:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:10** სასტვენი.
**22:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
**00:50** ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული.
**02:40** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ბორუსია (მ)-ლივერპული.
**04:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სევილია.

**EUROSPORT**

**10:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.
**11:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ფინალი. გერმანია.
**13:15** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. II ეტაპი.
**14:15** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. VI დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:45** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ფინალი. გერმანია.
**18:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. II ეტაპი.
**19:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:45** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-მილანი. ლონდონი. ინგლისი.
**22:15** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. მილანი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
**22:45** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**23:15** პროფესიული კრივი.
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:30** სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. დონინგტონი.
**02:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**02:20** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. III ეტაპი.
**04:30** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. ლიონი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.

## ამბები

ცურვა

### ფელპსი ეროვნულ ჩემპიონატზე გაცურავს

ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ჩემპიონატში, რომელიც კალიფორნიაში 3-9 აგვისტოს გაიმართება.

ტურნირმა ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა - 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის გარდა, ეროვნულ პირველობაზე გამარჯვებისთვის ზაფხულის თამაშების კიდევ 30 ჩემპიონი იბრძოლებს, მათ შორის **რაიან ლოხტე**, **აარონ პირსოლი**, **ნატალი კაფლინი**, **რებეკა სონი** და დიდ სპორტში დაბრუნებული **ამანდა ბერდი**.

ველოსპორტი

### არმსტრონგის თანაგუნდელი დოპინგში გამოიჭირეს

**ლენს არმსტრონგის** ველოსაჯინიბოს - RadioShack-ის წევრი, ჩინელი **ლი ფუიუ** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. დადებითი შედეგი აჩვენა 23 მაისს ჩატარებულმა დოპინგტესტმა.

ჩინელმა ველომრბოლმა უარყო აკრძალული პრეპარატის მიღება და B სინჯის ანალიზი მოითხოვა, მაგრამ ანალოგიური შედეგი მიიღო - მის ორგანიზმში პრეპარატ კლენბუტეროლის კვალი აღმოჩნდა. ახლა ჩინეთის ველოსპორტის ასოციაცია საერთაშორისო ფედერაციაში გააგზავნის ლი ფუიუს ანალიზის შედეგებს, რის შემდეგაც გაირკვევა - რა სასჯელს დააკისრებენ ველომრბოლს. სავარაუდოდ, არმსტრონგის თანაგუნდელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

კალათბურთი

### შორცანიდისი მაქაბიში მიდის

თუ ისრაელის პრესას დავუჯერებთ, საბერძნეთის ნაკრების შავკანიანი ცენტრი **სოფოკლის შორცანიდისი** უახლოეს დღეებში მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს ისრაელის ჩემპიონ თელ-ავივის „მაქაბისთან". პარალელურად, 25 წლის კალათბურთელი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ათენის „პანათინაიკოსთან".

შეგახსენებთ, რომ შორცანიდისი ბოლო ხუთი წელი „ოლიმპიაკოსის" ღირსებას იცავდა. შარშან, ევროლიგის მატჩებში მისი მონაგარი 7.2 ქულასა და 2.5 მოხსნას უდრიდა, საბერძნეთის ჩემპიონატში ანალოგიური მაჩვენებლები - 9.7 ქულასა და 3.5 მოხსნას შეადგენდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

გუშინდელი მატჩი ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტობიექტივში

ეროვნული ბიბლიოთეკა














